140
1987/2

ISSN 0132 – 6007

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი

12
1987

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩვენი დევიზი — მეგობრობა

**მშვიდობის თემისადმი მიძღვნილი სტენდის გაფორმება სურჩ ინტერნაციონალისტთა საყვარელი საქმიანობაა.**

ნინო ხარაზიშვილი
ფოტო თ. ცაგარელისა

ალბათ ყოველი ზღვისპირა ქალაქის თავიდათავი თვისებაა ინტერნაციონალიზმი და კიდევ ის, რომ იქ აუცილებლად ძალზე თბილი, კომუნიკაბელური ადამიანები ცხოვრობენ...

ფოთი ამგვარი ქალაქია, აქაურთა სითბო კი — ის უეჭველი მისაგებელი, რომელიც უშურველად მიეგება ყველა აქ ჩამოსულს. ქალაქის მრავალეროვნულობის ერთი მიზეზი ალბათ ესეცაა. დიდი სამამულო ომის წლებში ფოთი ასობით ევაკუირებულისთვის იქცა მეორე სამშობლოდ. იმ დღეებში გაჩნდა ფოთის ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელ-გემთმშენებელი ქარხანაც, ყოფილი — სევასტოპოლის 201-ე, ევაკუირებული... იმდროინდელია ეს უბრალო სიყვარულიც, ადამიანური ურთიერთშეჩვევაც და ისიც, რომ ფოთში მცხოვრებ უკრაინელთა და ბელორუსთა ერთი ნაწილი დღეს არათუ ქართველობს, არამედ „მეგრელობს" კიდეც...

ინტერნაციონალური მეგობრობის ტრადიციები ძალზე ძვირფასია ამ პატარა ქალაქისათვის. ამიტომ არის, რომ ფოთის 3.000-იან პიონერულ ორგანიზაციაში ძნელად იპოვნით პიონერულ რაზმსა და რაზმეულს, პიონერული ღირსების მთავარ საქმედ ამ კუთხით საქმიანობას რომ არ მიიჩნევდეს.

ინტერნაციონალური შეხვედრებისთვის არაერთი საყვარელი ადგილი აქვთ ფოთელ პიონერებს, მათ შორის, უცხოელ მეზღვაურთა ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბიც. ქალაქიდან უცხოეთის გეზს ისე როგორ გაისტუმრებენ, პიონერებმა მეზღვაურებს ამ კლუბში ერთი კონცერტი მაინც რომ არ მოუწყონ. ეს საკლუბო შეხვედრები სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა მეგობრობის ნამდვილი პატარა დღესასწაულებია და ფრთიან მოგონებებად შემორჩება ხოლმე ყმაწვილების მეხსიერებას.

აი, რაზე ვისაუბრეთ ფოთის მე-6 საშუალო სკოლის (დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი — თინათინ ცანავა, პიონერხელმძღვანელი — ნაირა ჯიჯეიშვილი) პიონერთა ოთახში. ჩემი ახალგაცნობილი გოგო-ბიჭები ყოჩაღი პიონერები გამოდგნენ, პიონერული საქმიანობის ავ-კარგით გულწრფელად დაინტერესებულები.

ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბისთვის გამოყოფილი საკმაოდ მოზრდილი კუთხე მიჩვენეს. დამათვალიერებინეს მეგობრებისაგან მიღებული წერილების ლამაზ-ლამაზი კონვერტები, გამაცნეს მეგობრული

მიმოწერის მისამართები. თითქმის ყველას აინტერესებს ჩვენს ქალაქში ჩამოსვლაო, — უხაროდათ. ცოტათი წაიოცნებეს კიდეც, ახალჩამოსულ შორეულ მეგობარს პირველად რის დათვალიერებას შესთავაზებენ, როგორ შეხვედრებს გაუმართავენ, პიონერული ორგანიზაციის რა პრობლემებზე გამოიწვევენ სასაუბროდ... ბევრი რამ მიამბეს თავიანთ მშობლიურ ქალაქზეც.

როცა სოფიკო გოგიამ თავისი ლიეპაიელი მეგობრის იანუშკე ევიტეს ბოლო წერილი მაჩვენა, კლუბის სხვა წევრებმა იჩქარეს ჩემთვისაც აეხსნათ, რომ ლიეპაია უკვე რამდენიმე წელია, რაც მათ მშობლიურ ქალაქთან მეგობრობს.

ერთხანს ზაზა ლანჩავას ახალშეძენილ ორენბურგელ მეგობარზე ვილაპარაკეთ. სწორედ მაშინ იყო, ერთმა ინტერკლუბელმა გოგონამ, ზოია რუხაძემ თქვა — მეც მინდა იმ ორენბურგელი ბიჭის მაგალითს მივბაძო და ლენინგრადის მე-6 სკოლის შესაბამისი კლასიდან სიით ჩემსავით მეთორმეტე გამოვიწვიო სამეგობროდო... ახლა სხვებმა წაითამამეს — იკაბიაში მცხოვრები თბილისელი, ბათუმელი და სოხუმელი თანატოლებისგან მიღებული წერილები წამაკითხეს.

სულ ოცდაორი წევრია დანიელ ფერის სახელობის ამ სასკოლო ინტერკლუბში (ხელმძღვანელი ხათუნა გვათუა). მისი სამივე სექციის („წითელყელსახვევიანთა პლანეტა“, „მიმოწერით კავშირის დამყარება“ და „სსრკ ჩემი სამშობლოა“) საქმიანობას მათი დიდი მოწადინება ატყვია. კლუბში სამუშაოდ საგანგებო მოწვევა არავის სჭირდება. მიმოწერის მაგიდასთან, მასზე მიმოფანტულ ლამაზ კონვერტებთან და სუვენირებთან ყოველთვის რამდენიმე პიონერი ფუსფუსებს. გულისყურით ეკიდებიან როგორც ჩვენი, ასევე მოძმე სოციალისტური და განვითარებადი ქვეყნების ბავშვთა დემოკრატიული ორგანიზაციების ისტორიებისა და მუშაობის ხასიათის შესწავლას.

გვინეის პიონერულ ორგანიზაციაში არსებული პიონერთა რიგებში მიღების წესი მომწონსო, — გვითხრა კლუბის აქტივისტმა, მე-6 სკოლის არკადი გეგეშიძის სახელობის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარემ მაია ტაბაღუამ; ორგანიზაციაში ახალმიღებულებს თავიდან ცისფერ ყელსახვევებს რომ უკეთებენ, მოგვიანებით — ყვითელსა და სულ ბოლოს — წითელსო. პიონერთა წახალისების რაიმე ამისმაგვარი ფორმა არც ჩვენ გვაწყენდაო... მეგობრებიც დაეთანხმნენ. ანალოგიურ საკითხებზე, მით უფრო პიონერთა IX საკავშირო შეკრების შემდეგ, ისინი ხომ ძალზე ხშირად და მთელი სერიოზულობით მსჯელობენ. მუშაობის ერთგვარი გეზიც მონიშნეს — თითოეული თავის ინდივიდუალურ მუშაობაში ცდილობს შეკრების უმთავრესი მოთხოვნებისა და გადაწყვეტილებების გატარებას.



დამხმარეები არ ელევა ლიზა გეგოს. იმ დღესაც, გამოდარებულზე, თემურელთა მთელი გუნდი ეწვია.



პიონერებთან მეგობრობით ამაყობენ ოქტომბრელები ზაველი ცომაია და მაია ჯაბუა.

საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი
პიონერი
გამოდის 1926 წლიდან
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა 12 დეკემბერი 1987

18497
საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ.

მე-6 და მე-8 სკოლელებმა ერთად სერგო ორჯონიკიძის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავი საღამო მოაწყვეს. თავიანთი შეფები — დიდი რევოლუციონერის სახელობის ქარხნის ინტერნაციონალური კოლექტივის მოწინავე მშრომელები მოიწვიეს. სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა ძალზე გულთბილ შეხვედრად იქცა ზოია რუხაძის დაბადების 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებაც, რომელიც გმირის დაბადების დღეს — 1 დეკემბერს ჩაატარეს.

„პიონერები — მშვიდობას!" — ასე ერქვა ნორჩი ინტერნაციონალისტების მიერ პოეტ ავთანდილ გურგენიძის პოემის „სამანტა — შუქი იასამანთა" მიხედვით შედგენილ მონტაჟს. საღამოზე, რომელსაც ესწრებოდნენ სკოლის მეგობარი ომის ვეტერანებიც, პიონერებმა მშვიდობის ნორჩი ელჩების — სამანტა სმიტისა და კატია ლიჩოვას სახეები წარმოადგინეს.

პიონერულ პრესაში როგორც კი გამოქვეყნდა „პიონერული სოლიდარობის" ანგარიშის გახსნის შესახებ, ჩაატარეს რაზმეულის საგანგებო შეკრება. ერთად იმსჯელეს უცხოელი თანატოლების დასახმარებლად შექმნილი ანგარიშის დიდ სიკეთეზე, თავიანთი რაზმეულის წილად თანხის გაღების აუცილებლობაზე. ბევრი იფიქრეს, რა ფორმით მოეპოვებინათ საკუთარი შრომის საზღაური. ისევ სოლიდარობის ბაზრობაზე შეჩერდნენ... დაფაცურდნენ რაზმეულის ხელმარჯვეები — ვინ ხეზე ამომწვარი თავისი მხატვრული ნამუშევრები მოიტანა, ვინ — ასანთის ღერებიდან შეკრული ციცქნა ნაგებობები, ვინ — ნაქარგი ცხვირსახოცი და გემრიელი ნამცხვარი... მათი დიდი ინტერესი თავიანთი საქმიანობისადმი ამ ღონისძიებაშიც გამოჩნდა.

და, საერთოდაც, არკადი გეგეშიძის სახელობის პიონერულ რაზმეულს რომ ბევრი აქტივისტი ჰყავს, ეს მათ პიონერთა ოთახსაც ეტყობა. პიონერთა ოთახს გაკვეთილების დამთავრების შემდეგაც დიდხანს ვერ ელევიან, შინ მიმავალნიც კი ხვალინდელ გასაკეთებელზე ლაპარაკობენ. თემურელები აუცილებლად მარტოხელა ლიზა ბებოსაც შეუვლიან ხოლმე. ლიზა პლუსნინა ომისა და შრომის ვეტერანია. თავად უშვილძიროს, მზე ამოსდის დათო ნადარეიშვილსა და მის ამხანაგებზე. მათი ფოტოსურათებით აქვს მოფენილი ოთახი. ასე ცხოვრებისაც ნაკლებად ეშინია თითქოს. თავისი მორბედების წყალობით, აღარც მაღაზიიდან სანოვაგის მოტანისა ეფიქრება, ზამთრის შეშაზეც იმედიანად არის.

ფოთელთა ინტერნაციონალიზმს ცოტა ზემოთაც შევეხეთ, ქალაქის 1-ლი სკოლისა და უკრაინელ პიონერთა დიდი მეგობრობა კი დაგვავიწყდა გვეთქვა. ამ გაზაფხულზე ტერნოპოლის რაიონის ბუჩაჩის რვაწლიან სკოლას მეგობრობის ფესტივალზე ესტუმრნენ ფოთელი პიონერები. სამომავლოდ კი მასპინძლები თურმე თავიანთ ქალაქში მოიპატიჟეს... ასე ცხოვრობენ, მეგობრობის ძლიერი ფესვებით დაკავშირებულნი, მეგობრობაში საოცრად გულწრფელნი, ფოთელი ნორჩი ინტერნაციონალისტები.



# მეგობრების ოინები

გოდერძი ბოლაშაძე

მხატვარი თემურ ფხაკაძე

გია და დათო ჯერ კიდევ საბავშვო ბაღში დამეგობრდნენ, თუმცა ხასიათითაც და გარეგნობითაც ძალიან განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

მაშინ გია ცელქი და ფათერაკიანი ბიჭი იყო, ტანმორჩილი და გამხდარი, დათო კი, პირიქით — მასზე მთელი თავით მაღალი, შესამჩნევად ჩასუქებული, დინჯი და დამჯერე.

მათი მეგობრობა სკოლაშიც გაგრძელდა. მეექვსე კლასისთვის თუ გია საკმაოდ მოღონიერდა, დათო ოდნავ გახდა. სწავლაში და ფათერაკიან ოინებში ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ.

აი, ორი ეპიზოდი მათი თავგადასავლებიდან.

## „ბეჰემოთი გალიაში"

ის იყო, სკოლიდან დაბრუნებულმა დათომ და გიამ საცხოვრებელი კორპუსების შუაში მოქცეული სპორტული მოედანი გადაკვეთეს, რომ ეზოში გამაყრუებელი ხმაურით შემოიჭრა აგურებით დატვირთული ავტომანქანა, მოედანს შემოუარა და ერთ-ერთი კორპუსის შორიახლოს გაჩერდა.

ბეჰემოთივით ჩასუქებული მეათეკლასელი პაატა კაბინიდან ჩამოხობლდა და მძღოლს განკარგულებების მიცემა დაუწყო, ხოლო როცა მანქანა მოხერხებულ ადგილზე დააყენა, ჩამოცლის ნიშანი მისცა.

ლითონის ძარა აყირავდა, აგურის გროვამ ერთი იხუვლა და მიწაზე რახრახით გაიშალა.

ავარდნილი მტვერი ჯერ კიდევ ჰაერში ტრიალებდა, როდესაც პაატას მამის — ვანო ძიას ყვირილი გაისმა:

— ეგ რა გააკეთე, ბიჭო? ხომ გაგაფრთხილე, მანქანა სადარბაზოს წინ დააყენე და ისე დასცალე, არც ერთი აგური არ დააზიანო-მეთქი?! — შვილს მიუახლოვდა და მოტანილი ვედრო მიწაზე დააგდო. — რამდენი ვიწვალე მანქანის დატვირთვისას და ყველაფერი წყალში არ ჩამიყარე?!

— რა მოხდა, მამა, ოც-ოცდაათზე მეტი ხომ არ დაიმტვრა, — გაიბუსხა პაატა. — იმ ასფალტზე რომ ჩამომეყარა, მაშინ ნახავდი, რომელიმე თუ დარჩებოდა მთელი.

— ხელით უნდა ჩამოგეცალა, ხელით!

— იქნებ მატყლის ლეიბები გამეშალა და იმაზე ჩამომეწყო?! — არ თმობდა პაატა.

— შენთან კამათი წყლის ნაყვაა და მეტი არაფერი! —

გაბრაზდა მამა. — ის მაინც ვერ მოზომე, სანამ ამ კორპუსს ირგვლივ შემოვუვლით და სადარბაზომდე მივიტანთ, რა მანძილზე მოგვისდება თრევა?!

— ხომ შეგეხვეწე, მძღოლს შენ ჩაუჯექი, მე კი ჩვენი მანქანით წამოვალ-მეთქი?! — იქით შეედავა პაატა მამას.

— საქმე ვინც წაახდინა, იმანვე გამოასწოროს. სალამოსთვის ეს აგური თუ სარდაფში არ დამხვდა, მე ვიცი, რასაც გავაკეთებ!

ვანო ძიამ მძღოლს ანიშნა, წადიო, და თვითონ სახლისაკენ გაემართა, პაატა კი უხალისოდ შეუდგა მუშაობას.

— წავიდეთ! — უთხრა გიამ დათოს.

— დამაცადე ცოტა, ბოლომდე მოვიფიქრო.

— რა უნდა მოიფიქრო?!

— როგორ უფრო მოსახერხებელი იქნება სარდაფში ტვირთის აქედან ჩატანა, საზიდრით, ვედროთი, თუ...

პაატამ, თითქოს ახლა დაინახა შორიახლოს გაჩერებული ბიჭებიო, პირთამდე სავსე ვედრო ჯერ ხელით მოსინჯა, ორი აგური უკან გადმოიღო, მერე ბიჭებს გაუღიმა და თავისთან მიიხმო.

— წამო, სახაჭაპურეში გავიაროთ! ხაჭაპურებს და ლიმონათებს მე ვკისრულობ, — შესთავაზა მან.

— გმადლობთ. — დათომ თავი დაუკრა, ხოლო გიამ არხეინად დააყოლა:

— ისე გამოვძეხით წეღან, ერთ ლუკმასაც ვერ დავუმატებთ.

— თუ გინდათ, ველოსიპედს ან საჰაერო თოფს გათხოვებთ! — განაგრძობდა პაატა ბიჭების ცთუნებას.

— მერე ჩვენს საქმეებს ვინ გააკეთებს? — არ თმობდა დათო.

— თუ ამის ჩატანაში მომეხმარებით, ხვალისათვის ოც-ოცი ხინკალი ჩემზე იყოს!



— ვისთანაც მიირთმევ ხინკალსა და ხაჭაპურს, რატომ იმათ არ მოიშველიებ?! — იკითხა გიამ.

პაატას რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ მასთან პირველკლასელებმა — კახამ და შოთიკომ მიირბინეს და წინ აეტუზნენ.

— პაატა, მართალია, რომ სახლში „ტანგოს" ნამდვილი ბურთი გაქვს? — ჰკითხა კახამ.

— „არგენტინული ტანგოს" ბურთი! — დააზუსტა პაატამ.

— ისიც მართალია, რომ მაგ ბურთით მარტო მაგარი ფეხბურთელები თამაშობენ? — აჰყვა მეგობარს შოთიკო.

— ყველაზე ცნობილი ფეხბურთელები! — დაუდასტურა პაატამ.

— თუ გინდა, რომ ჩვენმა გუნდმა სხვა ეზოს გუნდები დაამარცხოს, ეგ ბურთი უნდა გვათხოვო! — თქვა კახამ.

— ჭკუაზე ხომ არ შეიშალეთ?!. — პაატამ ხელი აუქნია პატარებს. — შუშის კარადაში იმიტომ კი არ ვინახავ, რომ თქვენ დაგაგლეჯინოთ!..

— მაშ, არ გვათხოვებ, არა?!. — შოთიკომ თვალებში შეხედა პაატას.

— რატომაც არ გათხოვებთ, — გაიღიმა უცბად პაატამ. — თუ ამ აგურებს სარდაფში ჩამიზიდავთ, მერე ბურთს გათხოვებთ კი არა, გაჩუქებთ კიდეც.

— სხვა ბურთი ჩვენც ბევრი გვაქვს, — კატეგორიულად განაცხადა კახამ, — „ტანგოს" ბურთისათვის კი ათჯერ მაგოდენა რამეს ჩავზიდავთ და ამოვზიდავთ.

პაატა ოდნავ დაფიქრდა, ჯერ აგურების გროვას დახედა, მერე სავსე ვედროს შეავლო თვალი და დათოს მიუბრუნდა:

— აბა, ეს ნახევარწიწილები რისი გამკეთებლები არიან. თუ ამ საქმეს თქვენ ითავებთ, „არგენტინული ტანგო" თქვენი იყოს!

— სიტყვა მოგვეცი, რომ ბურთს ბიჭებს აჩუქებ და... — წამოიწყო დათომ, მაგრამ პაატამ შეაწყვეტინა:

— არ დამიწყო ახლა, ნოტარიუსთან დამტკიცებული ხელწერილი მოგვიტანეო! თუ თანახმა ხართ, სწრაფად შეუდექით მუშაობას და ექვსი საათისთვის აგურის ნაფშვენიც არ დაგრჩეთ ასაკრეფი! — პაატამ ჯიბიდან ამოღებული გასაღები დათოს გადაუგდო. — ბოქლომი იქა ჰკიდია, ჩასასვლელ კარზე და ჩატანას როცა მორჩებით, დაკეტვა არ დაგავიწყდეთ. გადაუდებელი საქმე მაქვს, თორემ ამის ჩაზიდვას რა უნდა?!.

გიამ თვალი გააყოლა მას და დათოს მიუბრუნდა:

— ჰიპნოზი ხომ არ გაგიკეთა, ასე უცბად რომ დასთანხმდი?!. ექვსი საათისთვის კი არა, ამოდენა რამის გადათრევას დილამდისაც ვერ მოვასწრებთ!

— მაშ მე ტყუილად ვანგარიშობდი წეღან?! — გაბრაზდა დათო. — კახა, თქვენ თქვენი გუნდის ბიჭები შეკრიბეთ სასწრაფოდ, ჩვენ კი ისე დავაზუსტებთ ყველაფერს, რომ ხვალ უკვე „ტანგოს" კოპლებიანი ბურთი თქვენი იქნება.

„საქმეზე" წასულმა პაატამ ჯერ გასტრონომში ნაყიდი ვაფლით გამოიტენა ჯიბეები, მერე კი პირდაპირ კინოსაკენ მოჰკურცხლა უცხოური ფილმის საყურებლად.

კინოდან გამოსულმა „ბირჟაზე" გაიარა და თბილისის „დინამოს" ნაცნობ გულშემატკივართა კამათში ავტორიტეტულად ჩაერია.

„ავტორიტეტულადო"?! აბა, სხვანაირად როგორ შეიძლება ყოფილიყო, განა ყველა ბიჭსა აქვს „არგენტინული ტანგოს" ახალთახალი ბურთი, ან ჯერ კიდევ ჩაუცმელი იმპორტული ბუცები?!.

კამათში გართულს, როგორც იქნა, მოაგონდა მამის დავალება და სასწრაფოდ შინისაკენ გაეშურა.

მივა ახლა ეზოში, ბიჭებს შარს მოსდებს, ჩემს დაბრუნებამდე რატომ არ მორჩით ყველაფერსო, კინწისკვრით დაიფრენს ყველას, თვითონ კი აგურებით სავსე ვედროთი შეეგებება სამსახურიდან დაბრუნებულ მამას: „აბა, შემომხედე, რა ყოჩაღი ბიჭი ვარო"!.. აგურის ჩაზიდვაც შერჩება და კოპლებიანი ბურთიც.

მაგრამ თუ გიამ და დათომ მოატყუეს, მაშინ მამას რას ეტყვის?! არა, არა!.. ისინი სიტყვის ბიჭები არიან, თანაც, ვინ სულელი იტყვის უარს კოპლებიან ბურთზე!

ნეტავი რამდენის ჩაზიდვას მოასწრებდნენ?!. ვედროში ხუთი ცალი ერთ გზაზე, ესე იგი, სულ ას ოცი გზა, ანუ თითოზე სამოცი. კორპუსის შემოვლას, სარდაფში ჩასვლას, დერეფნის გავლას და უკან დაბრუნებას ხუთ წუთზე მეტი დრო სჭირდება, ანუ სამას წუთზე მეტი. ეს კი მთელი ხუთი საათია და ანგარიშით საქმის ნახევარიც არ უნდა იყოს შესრულებული.

პაატა ისე გახალისდა თავისი გამოთვლებით, რომ ფეხსაც კი აუჩქარა, მაგრამ როცა სარდაფში ჩასასვლელი კარები საიმედოდ ჩარაზული და კლიტედადებული დაუხვდა, მისი სიხარული შეშფოთებამ შეცვალა.

„ნამდვილად მომატყუეს იმ მაიმუნებმა", — გაიფიქრა, კორპუსს სირბილით შემოუარა და როცა აგურების ჩამოყრის ადგილს მიუახლოვდა, თვალებს არ დაუჯერა.

მიწაზე აგურის ერთი ნატეხიც აღარ მოჩანდა.

— ვაშაა!.. — გაისმა უცბად ყვირილი. სპორტული მოედნიდან გამოვარდნილი ბიჭების გუნდი პაატასკენ გამოექანა, გარს შემოერტყა და გასაქცევი გზა გადაუკეტა.

— ბურთი, ბურთი რატომ არ მოიტანე?! — ახმაურდნენ ბიჭები, მაგრამ მოგვიანებით მოახლოებულმა დათომ ისინი ხელის აწევით დააშოშმინა და პაატას მიმართა:

— სადა ხარ, კაცო, ამდენ ხანს, ორი საათია გელოდებით.

— აგურები სად არის, აგურები?! — იკითხა დაბნეულმა პაატამ.

— სად არის და სარდაფში! — წამოიძახა კახამ.

— რაღაცას ეშმაკობთ, თორემ ასე უცბად როგორ ჩაიტანდით?!.

გარინდული ბიჭები დათოს და გიას მიაცქერდნენ.

— მოკლედ მოსჭერი, კიდევ რა გინდა ჩვენგან? — შეკითხვა აიცილა გიამ.

— სარდაფის გასაღები მჭირდება.

— იმ გასაღებს მხოლოდ კოპლებიან ბურთში ვცვლით! — მტკიცედ განაცხადა დათომ.

— აგური ხომ მართლა ჩაიტანეთ?!.

— თუ არ ჩავიტანეთ, მაშინ სად არის?! — წამოიძახა შოთიკომ.

— დაალაგეთ, თუ ისე მიჰყარ-მოჰყარეთ?!

— კედელთან დავაწყვეთ ლამაზად! — იყო დათოს პასუხი.

— ჰოდა, გქონდეთ ეგ გასაღები რა, მამაჩემს მეორეც აქვს!

— მერე, ბურთი?!

— რა ბურთი, რის ბურთი?! თუ აგურები უკვე სარდაფშია, ბურთი რაში უნდა მოგცეთ?!. — პაატამ ბიჭებს დამცინავად გადახედა და წასვლა დააპირა.

— პაატა, ნუ აჩქარდები, სანანებლად არ გაგიხდეს! — გააფრთხილა გიამ.



— ვითომდა რითი მაშინებთ, თქვე ბაჯბაჯა მელაკუდებო?!

— არაფრით, მაგრამ მალე ყველა ნახავს, ვინ არის მელაკუდა, ვინ ბაჯბაჯა დათვი და ვინ კიდევ — გალიაში გამოკეტილი ბეჰემოთი! — გაბრაზდა დათო, პაატამ კი მხოლოდ ჩაიცინა და სახლისაკენ გაემართა.

— შეხედე, ვანო ძიაც მოდის და ახლა გამოჩნდება, ვინ იხარხარებს, ვინ კი იტირებს! — დაამშვიდა მეგობარი გიამ და ეზოს მეორე მხარეს მიახედა, სადაც ნაცნობი ფერის „ჟიგული" გამოჩნდა, იგი ბიჭების თავშეყრის ადგილისაკენ წამოვიდა.

ვანო ძია მანქანიდან დინჯად გადმოვიდა, აგურებისაგან მოსუფთავებულ მიწას დახედა და ხელები გაშალა:

— არ მოველოდი, თუ ასე მალე მოთავდებოდა საქმე! — მას კიდევ რაღაცის დამატება უნდოდა, მაგრამ ბიჭების მზერის მიმართულებას თვალი გააყოლა და დაინახა პაატა, რომელიც მისკენ მორბოდა. — ყოჩაღ, შვილო, კარგად გიშრომია! — შეაგება სიტყვა. — მხოლოდ გამოტყდი, რომ ეს ბიჭები გეხმარებოდნენ, თორემ უმიზეზოდ არ მომაქცევდნენ ალყაში!

— გასაღები მომეცი, სარდაფის გასაღები! — პანიკურად იყვირა პაატამ, რომელმაც იგუმანა, რომ საქმეს მისი სასარგებლო პირი არ უჩანდა.

— ის რა უყავი, მე რომ დაგიტოვე?!. — მკაცრად იკითხა მამამ.

— სადღაც დამეკარგა, როცა აგურებს ვეზიდებოდი. მეორე გასაღები ხომ თანა გაქვს? უნდა ვნახო, ჩემს არყოფნაში ვინმემ ხელი ხომ არ ახლო აგურებს?

— ბიჭო, გასაღები თუ ჩაზიდვის დროს დაკარგე, მერე კარები როგორ დაკეტე, და თუ დაკეტე, აგურებს ვინ ოხერი ახლებდა ხელს?! — გაბრაზებული მამა კორპუსისაკენ წავიდა და შეშფოთებული პაატა უკან გაიყოლია.

— იწყება ჩანაფიქრის ფინალი! — წამოიძახა დათომ, როდესაც მამა-შვილი კორპუსს მიეფარა. — ერთ წუთში პაატა უკან მოირბენს და ნახავთ, რაც მოხდება.

— ყურადღება!.. — მხარი აუბა გიამ. — ვიწყებ თვლას!.. ათი... ცხრა... რვა... — ნელა ითვლიდა ის წამებს, მაგრამ როცა პაატა გამოჩნდა, ზედიზედ მიაყარა: „სამი, ორი, ერთი, სტარტი!" და სმენად გადაიქცა.

— აგური რა იქნა, აგური?!. — მიიჭრა მასთან პაატა.

— რა აგური, რის აგური?!. ნოტარიუსის დამტკიცებული ხელწერილით ჩაგვაბარე თუ ყარაულობა ჩვენ დაგვავალე?! — გაიკვირვა დათომ.

— ნუ მაიმუნობთ, თორემ...

— რა თორემ?! — გაბრაზდა გია. — წავედით თუ არა, შემობრუნდა ის მძღოლი თავისი თვითმცლელით და აგურები უკან ჩაყარა ბუზღუნით: გადმოზიდვის ფული არ მომცეს და უკან უნდა წავიღოო.

— მერედა, აქ იმიტომ ყურყუტობდით, რომ უკან გაგეტანებინათ?!.

— იმიტომ ვყურყუტობდით, რომ დატვირთვაშიც მი-

ვეხმარეთ და ოცი მანეთიც მივიღეთ საჩუქრად!

— მაშ, ოც მანეთად გამყიდეთ, არა?!.

— სამაგიეროდ, იმ ფულით კოპლებიან ბურთს ვუყიდით პატარების გუნდს.

— ბიჭებო, ბიჭებო! — მიმართა ყმაწვილებს ვანო ძიამ, რომლის მოსვლა კამათში გართულებმა ვერც კი შეამჩნიეს. — თქვენ მაინც ამიხსენით, რა ხდება, თორემ ამ ჩემი უქნარასაგან კაცი რას გაიგებს!

— ისეთი არაფერი, ვანო ძია, თქვენი ბიჭი დაგვპირდა, თუ აგურებს სარდაფში ჩაზიდავთ, ამ პატარებს „არგენტინული ტანგოს“ ბურთს ვაჩუქებო! — აუხსნა კამათის მიზეზი გიამ.

— მერე?

— ბიჭებმა ძალ-ღონე არ დაიშურეს, პაატამ კი პირი გატეხა! — ხელი ჩაიქნია დათომ.

— თუ ჩაიტანეს, იქიდან სად გაქრა?!

— სად გაქრებოდა, თუ შოთიკოს სარდაფში ჩავზიდეთ...

— მომითმინეთ, მომითმინეთ, — შეაწყვეტინა კამათი ვანო ძიამ, — თუ იმ სიშორეზე ათრიეს აგური ამ პატარა ბიჭებმა, ჩასასვლელიდან შოთიკოს სარდაფამდის უფრო შორი მანძილი არ არის, ვიდრე ჩვენამდის?!

— ასე გვაჩვენა ჩვენმა გეგმამ! — გიამ ვანო ძია კორპუსის კედელთან მიიწვია. — ჯერ დათოს მოუვიდა აზრი, მანძილის შესამოკლებლად აგურები პირველი სართულის რომელიმე ბინის გავლით გავიტანოთო, მერე კი შოთიკო მოგვეშველა: რაღა ასე ვზიდოთ, უმჯობესია პირდაპირ ჩვენს სარდაფში ჩავყაროთ და მერე იქიდან გადავიტანოთო. — გიამ მიწიდან ერთი მტკაველის სიმაღლეზე დატანებულ პატარა ოთხკუთხედზე მიუთითა,— ამ სავენტილაციო ნახვრეტს შიგნიდან ერთი კოხტა ფიცარი მივაყუდეთ და ის აგურები სათითაოდ ჩავაცურეთ შიგ.

— არც კორპუსების ირგვლივ სირბილი და არც ვედროების თრევა! — ამაყად დაუმატა შოთიკომ.

— ახლა რას აპირებთ?!

— არაფერს! — დათომ ჯიბიდან ორი გასაღები ამოიღო და ვანო ძიას გაუწოდა. — ეს ჩასასვლელი კარისაა, ეს კი შოთიკოს სარდაფის. პაატას გამოცდა გვინდოდა, თორემ იმ დერეფნის ერთი თავიდან მეორეში გადატანას რა დიდი რამე უნდა?!

— მე ვიცი, რაც უნდა! — წამოიძახა ვანო ძიამ. — წამომყევით და დაგანახვებთ, რაც უნდა!

ბიჭები უსიტყვოდ გაჰყვნენ მას და ასევე უსიტყვოდ უყურებდნენ, როგორ გამოაღო მან სარდაფში ჩასასვლელი კარი, პაატას შოთიკოს სარდაფის გასაღები გაუწოდა და უბრძანა:

— ჩადი და შეამოწმე, მართალს ამბობენ თუ არა?! — და როცა პაატა თვალს მიეფარა, კარს კლიტე დაადო და ბიჭები გააფრთხილა:

— სანამ არ დავბრუნდები, აქედან ფეხი არ მოიცვალოთ!

ორიოდე წუთის შემდეგ პაატა სარდაფის გისოსებიანი კარის უკან გამოჩნდა.

— კლიტე ვინ დაადო კარს? — იკითხა მან, მამა რომ ვერ დაინახა.

— დაგიბარა, სანამ დავბრუნდები, არსად გამეპარო! — ახარა კახამ.

— ნეტავი სად გავიპარები, იმ ნახვრეტში ხომ ვერ გავეტევი!

უცებ გიას სახე გაებადრა:

— რა ბიჭი ხარ, დათო, რა ბიჭი! მაინც საიდან მოიგონე „გალიაში გამოკეტილი ბეჰემოთი“?!

ამ სიტყვების გაგონებაზე ბიჭებს ერთბაშად ხარხარი აუტყდათ.

— ვაი, თქვე მართლა მელაკუდა ბაჯბაჯებო! — პაატა გვიან მიხვდა სიცილის მიზეზს. — მთელი სიცოცხლე ხომ არ ვიქნები გამოკეტილი და როცა გამოვალ, მერე განახვებთ სეირს... — უეცრად ლიფტიდან გამოსული მამა დაინახა და თვალები გაუფართოვდა.

ვანო ძიამ „არგენტინული ტანგოს“ ბურთი ყველას დასანახად ასწია მაღლა.

— პაატა, ვისია ეს ბურთი? — იკითხა მან.

— როგორ თუ ვისია?! ძია მიშამ მე არ მომიტანა?

— ფუი, შეგირცხვეს ვაჟკაცობა! — გულიანად წამოიძახა ვანო ძიამ. — ბურთი თქვენია, ბიჭებო, თქვენი! — მიმართა მან პატარებს და ბურთი კახას გადასცა. — აბა, ის რა ბურთია, რომელიც თამაშში არ გაცვდება? ეს ერთი და სხვა ათასი!

— მე?! — წამოიყვირა პაატამ, — მე რაღა?!

— შენ ისა, რომ სანამ მაგ აგურს ჩვენს სარდაფში არ გადაზიდავ, მანამდის მანდ იქნები. — ვანო ძიამ ჯერ აჴრიამულებულ ბავშვებს გააყოლა თვალი, მერე გიასა და დათოს შეუტია:

— ცხვირები რომ ჩამოგიშვიათ, რამე ხომ არ გეწყინათ?

— არა, ვანო ძია, მაგრამ არ იფიქროთ, თითქოს იმ ბურთისთვის გავაკეთეთ ყველაფერი! — შეიშმუშნა დათო.

— რაც გააკეთეთ, სწორად გააკეთეთ! — მიუგო ვანო ძიამ და სიცილით დასძინა: — კაცო, ამას მოფიქრება არ უნდოდა? რაციონალიზატორი მე ვარ და აქ კი დათომაც მაჯობა და პატარა შოთიკომაც!

მისი გულიანი სიცილი ბიჭებსაც გადაედოთ. უფრო მეტად მათ ჩაფიქრებული გეგმის ბოლომდის ისე ზუსტად მიყვანაახარებდათ, რომ შემთხვევით წამოსროლილი „გალიაში გამოკეტილი ბეჰემოთი“ ცარიელ დაქადნებად კი არა, სინამდვილედ იქცა, რასაც თვალნათლივ მოწმობდა კარის გისოსებს იქით მიყუჩებული ნირწამხდარი პაატას სილუეტი.



# ტორიჩელი

მეტროს სადგურიდან ამოსული ბიჭების ყურადღება იქვე გაშენებული სკვერის აუზთან შეკრებილმა ბავშვებმა მიიპყრო.

კახა სლუკუნითა და თვალების სრესით ჩიოდა თანატოლებთან:

— უკვე მესამე გასაღებსა ვკარგავ. სახლში როგორღა შევიდე?

— ხომ გაგაფრთხილე, აუზის კიდელზე ნუ დარბიხარ და ეგ გასაღებიც ხელზე შეიბი-მეთქი? — ნიშნისმოგებით უთხრა თანაკლასელმა ბადრიმ.

— იმოდენა გასაღები რომ ხელზე გამომება, მაშინ ნახავდით, მეც თან როგორ გადამიტანდა! — იმართლა თავი კახამ.

— გინახავთ ასეთი ჩურჩუტი? — მიუბრუნდა გიასა და დათოს გელა. — ამის მშობლებს ჰგონიათ, ჩვენი შვილი გაკვეთილს ჩასჩიჩინებსო, ეს კი ქაღალდის ნავებს დააცურებს ამ წუმპეში.

— ის მაინც ვერ დაინახე, სად ჩავარდა? — იკითხა დათომ.

— დანახვით არა, მაგრამ რომ მომესმა „ჭყლუმპო", მაშინვე ჯიბეზე ხელი მოვისვი, მაგრამ უკვე აღარაფერი მედო. — კახამ აუზი შეათვალიერა. — ისეთი ლამია შიგ, არაფერი მოჩანს. მალე დედა დაბრუნდება და... — კახა ისე დაიჯღანა, ალბათ ხელმეორედ აპირებდა ტირილს.

— მორჩი ღნავილს! — შეუტია დათომ და გიას გადახედა, — რამე უნდა მოვიფიქროთ.

გიამ აუზი ყურადღებით შეათვალიერა და თვალები გაუბრწყინდა.

— გასაღების პოვნას რა დიდი რამე უნდა? — წამოიძახა მან, მერე კახას მიუბრუნდა: — შენ აქ დაგვიცადე, ჩვენ კი ათ წუთში მოვიტანთ ამოსაღებ მოწყობილობას.

გია თავისი კორპუსისაკენ გაეშურა და დათოც თან გაიყოლია.

— მაინც რა მოწყობილობას დაჰპირდი? — ჰკითხა გზაში დათომ, — არ მითხრა ახლა, აკვალანგი მოვიტანოთ და რიგრიგობით ჩავხტეთ აუზშიო.

— შენ ერთი კარგი ჯოხი მოძებნე, მე კი ახლავე ჩამოვარბენინებ, რაც საჭიროა, — და გია თავის სადარბაზოში შევიდა. სანამ მობრუნდებოდა, დათოს უკვე მზადა ჰქონდა შინდის ჯოხი, რომელსაც დედამისი ხალიჩების საბერტყად იყენებდა.

— კარგია! — შეაქო გიამ მეგობარი და ჯიბიდან ამოღებული მრგვალი მაგნიტი გაუწოდა. — იცი, რა ძალა აქვს? აბა, იმ რკინას მიადე!

— ბიჭოს, ეს რა კარგი რამეა?.. სად იშოვე?

— ჩემს ძმას გამოვართვი. ამას კაპრონის ძაფით მივაბამთ ჯოხზე, წყალში ჩავუშვებთ და...

გასაჭირში ჩავარდნილმა კახამ უკან დაბრუნებული ბიჭები რომ დაინახა, იმედიანად გაუბრწყინდა თვალები.

ის იყო, გიამ თავისი მაგნიტური „ანკესი" გამართა და აუზში ჩაუშვა, რომ თავზე აყლაყუდა, მხრებამდე



თმაჩამოშვებული ლენტო წამოადგა, თავის მუდმივ თანმხლებ-მაჩანჩალა პანჩოთი.

— კალმახებს იჭერთ თუ ხრამულს? — გაიკრიჭა ლენტო წყალში ჩაშვებული ძაფის დანახვაზე.

ბიჭები გაისუსნენ. ლენტოს რომ მაგნიტი დაენახა, წაურთმეველს დაუტოვებდა?!

— ამოქაჩეთ, ამოქაჩეთ!.. კიბორჩხალა თუ არა, თავკომბალა მაინც წამოეგებოდა! — არა ცხრებოდა აყლაყუდა.

— ვინ დაგიძახა, ბოძივით რომ აგვეყუდე?! — გაბრაზდა უცბად დათო. — იქნებ გრიშა ძიამ თავისი ოქროს თევზები გაუშვა აქ და იმათ ვიჭერთ.

ლენტომ აუზის ფსკერი შეათვალიერა და ბიჭებს დამცინავად ახედ-დახედა.

— აი, სწორედ ისე გაბრიყვდება გრიშა ძია, რომ ამ აშმორებულ წყალში ტკიცინა თუმნიანები გადაყაროს თქვენისთანა დოყლაპიების გასახარებლად.

— რა შუაშია აქ ტკიცინა თუმნიანები? — გაიკვირვა გიამ.

— იმ შუაშია, რომ თითო ოქროსფერ ლიფსიტას სამსამ მანეთზე ნაკლებად არ ყიდის. აბა, ამოქაჩე, თევზმა ჭიაყელა ხომ არ შემოაჭამა ანკესს?

— არ ამოვქაჩავ! — გაჯიუტდა გია. — რა კალმახი,

რის ხრამული, ფიზიკის ცდებს ვატარებთ და ხელს ნუ გვიშლი.

— ფიზიკის ცდებსო?! — ახარხარდა უცბად ლენტო. — ვის ეძახის ფიზიკის მასწავლებელი ტორიჩელის — მე თუ თქვენ?... ესლავე ჩამოყაჭეთ, რა ცდებს აკეთებთ...

— რა დროს ფიზიკაა, ლენტო, გვაგვიანდება! — ამოღერღა პანჩომ.

ლენტომ გზა განაგრძო, მაგრამ ორიოდე ნაბიჯის შემდეგ კვლავ ბიჭებს მიუტრიალდა.

— თევზაობას რომ მორჩებით, მალაზიის ტაჭკით წაიღეთ ნადავლი, რომ წელი არ მოიწყვიტოთ! — და თავის ხუმრობაზე თვითონ ახარხარდა.

— მოხარშვისას მარილი და პილპილი არ დაგავიწყდეთ! — აჰყვა მას პანჩო.

მაგნიტმა ჯერ რკინის მრგვალი ფირფიტა ამოიღო, მერე ვიღაცის მიერ გადაგდებული ავტოკალამი, ორი ცალი ლურსმანი და ბოლოს კახას ბინის გასაღები, რომლის პოვნამ ბიჭების „თევზაობის“ მადა ერთბაშად გაათკეცა.

— ბიჭებო, იქნებ ჩემი სხვა გასაღებიც მანდა გდია და ისიც მიპოვნოთ! — დარბოდა აუზის გარშემო კახა. — აქეთ, აქეთ ჩაუშვით, ხომ ხედავთ, რაღაცა მოჩანს.

როდესაც აუზის პირას დაწყობილ რკინებს დაჟანგული ბურთულასაკისარი, ჯაჭვის ნაგლეჯი და რკინის ღილი შეემატა, წყლიდან ამოღებულ მაგნიტს ვიღაცის ხელი წაეპოტინა და ნადავლთან ერთად აიტაცა.

— აი, თურმე რა ცდებს ატარებთ! — დამცინავად წამოიძახა შეუმჩნევლად მოპარულმა ლენტომ და პანჩოს მიუბრუნდა: — ამათ ეგონათ, გაგვაცურებდნენ, მაგრამ ტყუილად ხომ არ მეძახის მასწავლებელი ტორიჩელის!

— წავიდეთ, ბიჭო, სეანსი რომ დაიწყება, რა ჯანდაბას გავიგებთ, თუ დასაწყისი ვერა ვნახეთ, — ჩაიბურდღუნა პანჩომ.

— ეს რა მაგარი რამე ყოფილა? — არ ცხრებოდა ლენტო.

— ლენტო, ეგ მაგნიტი გოჩასია და რომ არ დაუბრუნო, შეიძლება უმაგნიტოდ ამოსათრევი გახდნენ ვიღაც-ვიღაცები აუზიდან! — გააფრთხილა გიამ აყლაყუდა.

ლენტომ არ მოისურვა საქმეში გიას უფროსი ძმის ჩარევა, ჯიბიდან ლითონის მანეთიანი ამოიღო და მაგნიტის პატრონს გაუწოდა.

— მუქთად ხომ არ მინდა, აიღე!

— ნეტავი რა ჯანდაბად გჭირდება? — იკითხა პანჩომ. — დავიგვიანეთ კინოში და ისაა!

— იქნება მეც მინდა ცდების ჩატარება?! — აღშფოთდა უცბად ლენტო. — იცი, რა განძი იმალება ამ მაგნიტში?

— განძი არა, „ყიგულის“ ლატარიის ბილეთი! რკინების მეტი რა ყრია გარაჟებთან.

— უჭკუო ხარ და მეტი არაფერი! — გაბრაზდა ლენტო. — ფილარმონიასთან რომ აუზია, იქ თუ ყოფილხარ?

— ვყოფილვარ და მეტი არა?.. არ გახსოვს, „კიკნამ“ ხელი რომ მკრა და შიგ ჩამაგდო?

— მერედა, ის არ იცი, ზოგიერთები ხურდა ფულს რომ ყრიან იმ აუზში, განსაკუთრებით კი უცხოელი ტურისტები?.. აი, შეხედე, — ლენტომ ლითონის მანეთიანს რამდენიმე ცალი ხურდა ფული მიუმატა და აუზში მოისროლა. — ახლა ამ მაგნიტით უკან ამოვკრეფ, — თქვა მან და მაგნიტი აუზის ფსკერზე გაასრიალა. — იმ აუზში ხანდახან ხუთი-ექვსი მანეთის ხურდა გროვდება. დაჯექი იქვე და მთელი ფსკერი ლობიოს ჯამივით ამოასუფთავე.

გიამ ბიჭებს ხელი უბიძგა და ჩუმად გაიყოლია თან, ლენტო კი ისტიბარს არ იტეხდა, სანამ აუზიდან პირდაღებული ძველი ფეხსაცმელი არ ამოათრია და ნირწამხდარმა არ მიმოიხედა, მაგრამ მის ახლოს უკვე აღარავინ იყო ისეთი, ვისზედაც ჯავრს ამოიყრიდა.

— აიტეხავს რაღაცას და აგე მერე მაგის მაგივრად პასუხი! — პანჩო ბიჭებთან ერთად ბუჩქებს ამოფარებული უთვალთვალებდა ლენტოს „თევზაობას“. — გაიხადოს ახლა ტანზე და იბლოტიალოს მაგ წუმპეში.

— არც კი სცოდნია, რომ მაგნიტი მარტო რკინას იზიდავს, — ხელი ჩაიქნია გიამ.

— შენ იცოდი?! — შეეკამათა პანჩო.

— აბა, მეტი რა ვიცოდი! — გიამ ჯიბიდან ხურდა ფული ამოიღო. — იმ მაგნიტთან ერთად არ მეყარა თუ?!. — აი, ესენი სპილენძისაა, თეთრი ფულები კი ნიკელინის.

— რა ვიცი, ესაო, ისაო, ტორიჩელი ვარო! — წამოიწყო დათომ.

— ტორიჩელის კი არა, „ტორიჩელის სიცარიელეს“ ეძახის მასწავლებელი, — დააზუსტა პანჩომ. — ერთი მეცნიერის გვარია, რომელმაც სიცარიელე აღმოაჩინა, სხვანაირად, მგონი, ისა ჰქვია... მასწავლებელი გვეუბნება ხოლმე. თავში რომ გაქვთო!. აი ის... „ვა-კუ-უმი“!

●

— „ტორიჩელის სიცარიელე“ მოდის!

— ლენტო ტორიჩელის გაუმარჯოს თავისი სიცარიელით!

— „ტორიჩელის ვაკუუმი“!

— ტორიჩელი!..

ასე გაუვრცელდა ლენტოს მასწავლებლის მიერ შერქმეული სახელი, ის ერთადერთი ნადავლი, რომელიც მან დაიჭირა აუზში იმ მაგნიტური თევზაობის დროს.

მაგნიტი კი თავისი ხელით მიუტანა გიას. როგორც ჩანს, მიხვდა, გოჩასთან შეხვედრა კარგს არაფერს რომ არ უქადდა.



# თამამად იმოქმედეთ, პიონერებო!

ქვეყნის ყველა პიონერი განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდა თვალს პიონერთა IX საკავშირო შეკრებას; ყველა გრძნობდა, რომ სწორედ ამ შეკრებაზე უნდა თქმულიყო გულწრფელად და დაუფარავად საერთო სატკივარსა და პრობლემებზე, სწორედ აქ უნდა განსაზღვრულიყო ნორჩ ლენინელთა ორგანიზაციის ცხოვრება-საქმიანობის გარდაქმნის გზები და მიმართულებები.

ასეც მოხდა. შეკრება საგანგებო მოვლენად იქცა მრავალმილიონიანი პიონერიის ისტორიაში. მან დაამტკიცა და შეახსენა უფროსებს, რომ პიონერულ ორგანიზაციას, რომელიც დიდი ლენინის სახელს ატარებს, საზრიანი, მტკიცე, ინიციატივიანი და საქმიანი პატრონები ჰყავს, რომ ალისფერყელსახვევიანთა არმია საიმედო ძალაა საბჭოთა ხალხის წინაშე მდგარი უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაჭრის საქმეში.

ალბათ არასდროს ისე მოუთმენლად არ გადაუშლიათ თბილისის 67-ე სკოლის მეშვიდერაზმელებს პიონერული გაზეთები და არც ისე გულმოდგინედ წაუკითხავთ აქ დაბეჭდილი მასალები, როგორც IX შეკრების მიმდინარეობის დღეებში. ჯერ ამხ. მ. გორბაჩოვის მისასალმებელ სიტყვას გაეცნენ საფუძვლიანად, მერე კი შეკრების დღიურის მასალები წაიკითხეს სულმოუთქმელად, შეკრების გადაწყვეტილება ხომ ლამის ზეპირად ისწავლეს. მასალების განხილვას საგანგებო შეკრება მიუძღვნეს, ხოლო დისკუსიები საკავშირო პიონერულ ფორუმზე დასმული და გადაჭრილი საკითხების გარშემო დღესაც გრძელდება. ყველაზე ნიშანდობლივი კი ამ სჯა-ბაასში ის არის, რომ მასში უკლებლივ რაზმის ყველა პიონერი მონაწილეობს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ყოველ მათგანს ასევე უკლებლივ აინტერესებს საკუთარი რაზმის, რაზმეულის საქმიანობის გარდაქმნა.

ერთი რამ ყველამ სიამოვნებით აღნიშნა — შეკრებამ მეტი თავისუფ-




ლება და დამოუკიდებლობა მიანიჭა ნორჩ ლენინელებს. „ჩვენ მზად ვართ, უფროსებთან ერთად ვისწავლოთ დემოკრატია და თვითმმართველობა. საქმით დავამტკიცოთ, რომ ჩვენ ძალგვიძს ვიმოქმედოთ უფრო დამოუკიდებლად, თვითონვე განვსაზღვროთ, როგორ იცხოვრონ რაზმმა და რაზმეულმა...“ — ნათქვამია შეკრების გადაწყვეტილებაში და ახლა თვით პიონერებზეა დამოკიდებული, როგორ გამოიყენებენ დამოუკიდებელი მოქმედების ამ უმნიშვნელოვანეს უფლებას. აი, როდის შეესხმება ფრთები ყველა საინტერესო ჩანაფიქრს, როდის აღმოიფხვრება (მართლა და არა ფორმალურად) ფორმალიზმი პიონერულ საქმიანობაში, გახალისდება და გაინძრევა ყველა პასიური, ზარმაცი თუ სკეპტიკოსი. ო, რა მუშაობა მოელით წინ, რა საინტერესო ცხოვრება! რა კარგია, რომ აღარასდროს მოახვევენ თავს თუნდაც საკავშირო მარშის მსგავს აქციებს, რომელიც თუმცა კი ეხმარებოდა მუშაობაში, მაგრამ ზღუდავდა კიდეც, ფიქრისა და ძიების ხალისს ართმევდა მათ. ამიერიდან აღარავინ დააძალებს უამრავ უაზრო ოპერაციაში მონაწილეობას, აღარავინ მისცემს დავალებას ინტერესებისა და მიდრეკილებების გაუთვალისწინებლად. და, საერთოდ, ამიერიდან ისინი თვითონვე განსაზღვრავენ, რა და როგორ აკეთონ.

მეშვიდერაზმელებმა გადაწყვიტეს, რომ იმ სამუშაო ალბომის ნაცვლად, რომელიც, ალბათ მცირე განსხვავებით, ყველა რაზმს ერთნაირი აქვს, რაზმის მატიანე შემოიღონ და მასში თავიანთი პიონერული ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი მომენტი შეიტანონ. ძალიან უნდათ, სერიოზულად მოკიდონ ხელი სპორტს, მაგრამ აბა, რა სპორტულ მუშაობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა არც სპორტული დარბაზი აქვთ და ლესელიძის ქუჩის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით სკოლის ეზოც მოეშალათ. მაგრამ თუ მოიწადინეს და არც ცდა დააკლეს, ეს საქმეც უთუოდ მოგვარდება. აუცილებლად გარდაქმნიან ოქტომბრელთა კლუბის საქმიანობასაც. ეს კლუბი, რომელსაც „მინდა პიონერი გავხდე“ ჰქვია, შარშან შეიქმნა სკოლაში და მას რაზმეულის აქტივისტები ხელმძღვანელობენ, რომელთა რიცხვში მეშვიდერაზმელებიც არიან. პიონერთა რიგებში ოქტომბრელთა მომზადებას უფრო ხალისიანი ხასიათი მიეცემა, ზედმეტი დატვირთვისაგან გათავისუფლებული შეფ-პიონერები უმცროსებისთვისაც უფრო მეტად მოიცლიან და უთუოდ მეტი პასუხისმგებლობითაც მოეკიდებიან კლუბის საქმიანობას.

პიონერულ ცხოვრებაში გარდაქმნა სულ ახლახანს დაიწყო, მაგრამ დასაწყისი ისეთი ენერგიული და აქტიური გამოდგა, რომ მის შემდგომ წარმატებაში ეჭვი არავის ეპარება: სურვილი, მოსაზრება, წინადადება ბევრია. მათი ნაწილი სერიოზულ გააზრებას, აწონ-დაწონას მოითხოვს. ასე ხომ არ იქნება — აქაოდა, თავი-

სუფლება მოგვეცა და რაც თავში მოგვივა, უმალ უნდა მივიღოთ და განვახორციელოთო! დემოკრატიზმის პრინციპი, რომელიც ამიერიდან სახელმძღვანელო ხდება პიონერული რგოლების, რაზმებისა თუ რაზმეულების საქმიანობაში, ხომ თითოეული წინადადებისა თუ საკითხის კოლექტიურ განხილვას და შედეგად მიღება-მიუღებლობასაც გულისხმობს. ამიტომაც ფიქრობენ მეშვიდერაზმელი პიონერები ლ. მაღრაძე, გ. ტიკარაძე, ბ. ჯუმუტია, ნ. ბუბუნაური, ბ. მონიავა, შ. ინწკირველი და მათი ამხანაგები, საყოველთაო პიონერულ სამსჯავროზე გამოიტანონ თავიანთი საწუხარი, ჩანაფიქრი, მოსაზრება. აუცილებლად იმსჯელებენ პიონერული ფორმის, უხეირო სასკოლო ინვენტარის, ძველი სახელმძღვანელოების შესახებ. უთუოდ დაამკვიდრებენ თავიანთ მუშაობაში დისკუსიებს. გამონახავენ შრომით საქმიანობაში, ბუნების დაცვაში, ისტორიისა და არქიტექტურის ძეგლების დაცვაში მონაწილეობის ფორმას. ერთი სიტყვით, წინ საინტერესო, ხალისიანი და სასარგებლო მუშაობა ელით. ამიერიდან დღევანდელ ნორჩ ლენინელებს აღარც წინა პიონერული თაობების ცხოვრება-საქმიანობის რომანტიკა და აღმაფრენა შეძურდებათ და აღარც საკუთარი ყოველდღიურობის ერთფეროვნება წაუხდენს ხალისს!

დღეს ჩვენ ზოგადად გიამბეთ იმაზე, თუ როგორ აღიქვეს ერთ-ერთი რაზმის პიონერებმა პიონერთა IX საკავშირო შეკრების გადაწყვეტილებანი, როგორ ფიქრობენ თავიანთი საქმიანობის გარდაქმნას. იმედი გვაქვს, თქვენც გაგიჩნდებათ სურვილი, გაუზიაროთ თანატოლებს საკუთარი მოსაზრება-შეხედულებანი, გააცნოთ თქვენი ჩანაფიქრი, გეგმები, მოუთხროთ, როგორ აპირებს თქვენი რგოლი, რაზმი, რაზმეული მუშაობის გარდაქმნას.

ველით თქვენს გამოხმაურებას.

**მ. კარგარეთელი**

## კლასგარეშე



## ინფორმატიკა

განყოფილებას ხელმძღვანელობს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. მელაძე

# თამაში და ალგორითმი

გავიხსენოთ: ალგორითმი ბრძანებათა სასრული მიმდევრობაა. იგი გვეხმარება პრობლემის გადაჭრაში. შეიძლება ამოცანას არ ჰქონდეს ამონახსნი, არ არსებობდეს მისი გადაწყვეტის ალგორითმი. მაგალითად, ვინმეს რომ მოეფიქრებინა ჭადრაკის თამაშის ალგორითმი, მაშინ ეს შესანიშნავი თამაში ყოველგვარ სპორტულ ინტერესს დაკარგავდა. საერთოდ, ნებისმიერი მოთამაშის წინაშე მდგარი მთავარი პრობლემაა გამარჯვებისკენ მიმავალი გზის, ე. ი. მომგებიანი ალგორითმის მოძებნა. ჭადრაკისა და შაშისათვის ასეთი ზოგადი ალგორითმი ჯერ მოძებნილი არ არის და ეს, ალბათ, შეუძლებელიცაა; ზოგი, შედარებით მარტივი თამაშისთვის კი არსებობს გამარჯვების მომტანი ალგორითმი და ის თვითონვე შეგვიძლია ვიპოვოთ. ერთ-ერთი ასეთი თამაშია „ნიმი". მას ორი მოთამაშე თამაშობს ასანთის ღერებით. ასანთის 25 ღერისაგან შემდგარი გროვიდან რიგ-რიგობით იღებენ ერთ, ორ ან სამ ღერს. აგებს ის, ვინც ასანთის უკანასკნელ ღერს აიღებს. რადგანაც თამაშის წესი თქვენთვის უკვე ცნობილია, კარგი იქნება, რამდენჯერმე ითამაშოთ „ნიმი", რათა თვითონ ჩამოგიყალიბდეთ აზრი თამაშის შესახებ, და თუ პირველ სვლას ყოველთვის მოწინააღმდეგეს დაუთმობთ, იქნებ გამარჯვებისაკენ ძიძავალი გზაც იპოვოთ.

მაშ ასე, თქვენ ალბათ მიხვდით, როგორ უნდა ითამაშოთ, თუ მეტოქე იწყებს: დიახ, თუ ის აიღებს ერთ ღერ ასანთს, თქვენ უნდა უპასუხოთ სამი ღერის აღებით. თუ მეტოქე აიღებს ორ ღერს, თქვენც ორი ღერი უნდა აიღოთ, ხოლო თუ ის აიღებს სამ ღერს, თქვენ აიღებთ ერთ ღერს, ე. ი. თქვენ იღებთ იმდენ ღერს, რომ საბოლოოდ, ორივეს სვლის შემდეგ, ღერების რაოდენობა გროვაში ოთხით შემცირდეს. ზუსტად ექვსი სვლის შემდეგ გროვაში მხოლოდ ერთი ღერი დარჩება.

ცხადია, ჩვენს მიერ აღწერილი თამაშის წესი წარმოადგენს ალგორითმს, რომელსაც ყოველთვის გამარჯვებამდე მივყავართ. ასეთი ტიპის ალგორითმებს გამარჯვების სტრატეგიას უწოდებენ. ახლა ვეცადოთ, რომ თამაშის პირობები და მისი გამარჯვების სტრატეგია მათემატიკური ფორმით ჩამოვაყალიბოთ:

ვთქვათ, ორი A და B მოთამაშე რიგ-რიგობით აკლებს მოცემულ S რიცხვს ციფრებს — 1-ს, 2-ს ან 3-ს. აგებს ის, ვისი სვლის შემდეგაც S-ის მნიშვნელობა ნულს გაუტოლდება. აღვწეროთ ეს თამაში ალგორითმის სახით, რომელშიც ჩამოყალიბებული იქნება გამარჯვების სტრატეგია B მოთამაშისათვის.

ბრ. 1: A ირჩევს რაიმე a რიცხვს {1, 2, 3} სიმრავლიდან და ასრულებს მოქმედებას $S:=S-a$;

ბრ. 2: თუ $S=0$, მაშინ გაიმარჯვა B მოთამაშემ და თამაში დამთავრებულია;

ბრ. 3: B ირჩევს b რიცხვს ამ სახით: $b:=4-a$ და ასრულებს მომდევნო მოქმედებას;

ბრ. 4: გადადი ბრ. 1-ზე.

ისმის კითხვა: ნუთუ ამ თამაშში ყოველთვის B მოთამაშე იგებს?

ცხადია, თუ თავიდან მოცემული S რიცხვი არის 25-ის ტოლი, ეს ასეა, მაგრამ S 26-ის, 27-ის ან 28-ის ტოლი რომ იყოს, მაშინ A მოთამაშე პირველი სვლით S-ში დასტოვებდა 25-ს და როლები შეიცვლებოდა. ამ შემთხვევაში ყოველთვის A მოთამაშე გაიმარჯვებდა. ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზოგიერთი S-სთვის იმარჯვებს A, ზოგიერთისთვის კი B მოთამაშე. ჩვენს წინაშე დაისვა ახალი ამოცანა. უნდა გავარკვიოთ, თუ S-ის რა მნიშვნელობებისთვის იმარჯვებს A და რა მნიშვნელობებისთვის იმარჯვებს B მოთამაშე, თუ თითოეულმა მოთამაშემ იცის თავისი გამარჯვების სტრატეგია.

ეს ამოცანა ეკვივალენტურია ისეთი ალგორითმის შექმნისა, რომელიც სამართლიანი იქნება ნებისმიერი დასაშვები საწყისი მონაცემისათვის. ჩვენს შემთხვევაში საწყისი მონაცემია S, ხოლო დასაშვებ მონაცემთა სიმრავლე, საიდანაც ვირჩევთ S-ის საწყის მნიშვნელობებს, არის ნატურალურ რიცხვთა სიმრავლე. თუ კარგად დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ S-ის 1, 5, 9, 13 და ა. შ. მნიშვნელობებისთვის აგებს ის, ვისი სვლაც არის. ამრიგად, თითოეული მოთამაშე უნდა ეცადოს, რომ მისი სვლის შემდეგ S-ის მნიშვნელობა 4-ზე გაყოფისას გვაძლევდეს ნაშთში 1-ს, ე. ი. S წარმოდგებოდეს სახით: $S=4K+1$, სადაც K რაიმე ნატურალური რიცხვია. სწორედ ეს უკანასკნელი ალგორითმია „ნიმი"-ს ზოგადი სტრატეგია.

ისეთ თამაშებს, რომლებისთვისაც არსებობს ზოგადი ანუ გამარჯვების სტრატეგია თითოეული მოთამაშისთვის, სტრატეგიული თამაშები ეწოდება. ამ თამაშების საპირისპირო თამაშია ლატარია, სადაც გამარჯვება ან დამარცხება არ არის დამოკიდებული მოთამაშეზე და განპირობებულია შემთხვევით. საზოგადოებრივი თამაშების უმეტესობა არც წმინდა ლატარიაა და არც სტრატეგიული თამაში, არამედ მათი ნარევია. მაგალითად, ნარდის ან ბანქოს თამაშის დროს შემთხვევაა გადამწყვეტი, მაგრამ თამაშის მოსაგებად ნაწილობრივ სტრატეგიის მოფიქრებაც არის საჭირო. ზოგიერთ თამაშში არსებობს გამარჯვების სტრატეგია მხოლოდ გარკვეული საწყისი მონაცემებისთვის, ხოლო ზოგადი ალგორითმი ცნობილი არ არის. გავეცნოთ ერთ-ერთ ასეთ თამაშს:

ორი მოთამაშე უჯრედებიან ფურცელზე ირჩევს ნებისმიერ $n \times m$ ზომის მართკუთხედს. უჯრები გადაინომრება ორი ინდექსით (i, j), რომლებიც შესაბამისად აღნიშნავენ უჯრედის ნომრებს ვერტიკალური და ჰორიზონტალური მიმართულებებით. ამ აღნიშვნის შედეგად მარცხენა ქვედა კუთხის უჯრედის ნომერი იქნება (1, 1), ხოლო მარჯვენა ზედა კუთხის უჯრედისა — (n, m). მოთამაშეები რიგ-რიგობით აკეთებენ სვლას, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: მოთამაშე ირჩევს რაიმე უჯრას (K, e) ნომრით და გადაშლის ყველა ისეთი (i, j) ნომრის მქონე უჯრას, რომლის პირველი ინდექსი ან მეტია K-ზე, ან მისი ტოლია და რომლის მეორე ინდექსი ან მეტია e-ზე, ან მისი ტოლია, ე. ი. ყველა ისეთ (i, j) უჯრედს, რომლისთვისაც $i \geqslant k$ და $j \geqslant e$. აგებს ის მოთამაშე, ვინც გადაშლის უკანასკნელ (1, 1) უჯრას.

თუ თამაში $n \times n$ ზომის კვადრატზე მიმდინარეობს, მაშინ დამწყები მოთამაშისთვის არსებობს გამარჯვების სტრატეგია, რომელიც შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

ბრ. 1: ამოირჩიე უჯრედი ნომრით (2, 2) და გადაშალე $(n-1) \times (n-1)$ ზომის კვადრატი;

ბრ. 2: თუ მეტოქემ აირჩია უჯრედი ნომრით (1, K), აირჩიე უჯრედი ნომრით (K, 1), და პირიქით, თუ მეტოქემ აირჩია უჯრედი ნომრით (K, 1), შენ აირჩიე უჯრედი ნომრით (1, K).

ბრ. 3: თუ დარჩა მხოლოდ უჯრედი ნომრით (1, 1), მოიგე თუ არა, გადადი ბრ. 2-ზე.

ახლა კი თქვენ თვითონ მოიფიქრეთ გამარჯვების სტრატეგია დამწყები მოთამაშისთვის და, თუ თამაში მიმდინარეობს $2 \times m$ ზომის მართკუთხედზე, ჩაწერეთ ის ალგორითმის სახით.

ხშირად გამარჯვების სტრატეგიის სწორი არჩევანი თითქმის უიმედო თამაშებშიც კი ეხმარება მოთამაშეს გამარჯვებაში. გავიხსენოთ, დათა თუთაშხიამ ბაზარში როგორ გააკოტრა კამათლით მოთამაშეები. თამაში შემდეგში მდგომარეობდა: აგორებდნენ კამათელს. იმ შემთხვევაში, თუ ერთიანი გაგორდებოდა, დათა იგებდა, ყველა დანარჩენ შემთხვევებში კი აგებდა. დავუკვირდეთ: ყოველი გაგორების წინ გაგორების თანხას დათა ირჩევდა. ადვილი შესამჩნევია, რომ თუთაშხია დაახლოებით ექვსჯერ უფრო ხშირად აგებდა, ვიდრე იგებდა. მაგრამ მის მიერ დასახელებული გაგორების თანხა იმდენად დიდი იყო, რომ იგი არა მარტო იბრუნებდა წაგებულს, არამედ იმარჯვებდა კიდეც. წარმოიდგინეთ საკუთარი თავი დათას ადგილზე, მოიფიქრეთ, თუ როგორ ახერხებდა იგი ამ, ერთი შეხედვით, უბრალო „ოპერაციის" ჩატარებას.

**იოსებ გლიაძე,**

**რამაზ გოთორიშვილი**



# ბრაზო ლომი

გურამ პეტრიაშვილი

მხატვარი ეთერ მითაგვარია

ზ ღ ა პ ა რ ი

იყო ერთი ლომი და ერქვა მას ბრაზო.

ასე იმიტომ ერქვა, რომ სულ ბრაზიანი დადიოდა. ბრაზიანი კი იმიტომ იყო, რომ ფიქრობდა, ძალიან ულამაზო ვარო.

ყელზე პაწია ჩანთა ეკიდა. ამოიღებდა ჩანთიდან სარკეს, ჩაიხედავდა, დაინახავდა თავის დაღრეჯილ თავს და დაიღრიალებდა. ჩაიდებდა სარკეს ჩანთაში და კიდევ უფრო გაავებული გავარდებოდა. ვაი იმას, ვინც მაშინ შემოეყრებოდა ბრაზოს!

...დადიოდა ავი და შარიანი.

ერთხელ, ასე რომ მიდის, ხმა შემოესმა:

„ერთ წამს შეჩერდით, თუ შეიძლება!"

გაიხედა ბრაზომ და რას ხედავს: მოშორებით რაღაც სამფეხზე ყუთია შემოდგმული, მბზინავთვალიანი და შავნაჭერგადაფარებული. სამფეხის უკან კი თმაწვერგაჩეჩილი კაცი დგას და ბრაზოს უღიმის.

მოულოდნელობისაგან ბრაზო მართლაც შეჩერდა.

კაცმა ხელი ასწია, დაუძახა, აბა, ახლა კი გაიღიმეთო, წაიხარა და შავი ნაჭერი თვითონაც გადაიფარა თავზე.

— გავიღიმოო?! — დაიღრიალა ბრაზომ. — მე შენ გიჩვენებ სეირსო!

კაცმა გამოყო თავი შავი ნაჭრიდან, მოიგდო სამფეხიანი ყუთი მხარზე და მოკურცხლა, როგორც შეეძლო.

გარბის კაცი, ფეხებს სულ კინკრიხოში ირტყამს და ბუჩქებს ლაჯებში ივლებს.

ვეება ნახტომებით მისდევს ბრაზო. მისდევს და ღრიალებს.

სადაცაა, დაეწევა...

გარბის კაცი... გარბის და თან უკან იხედება შეშინებული.

უცებ ფეხი წამოჰკრა რაღაცას და წაბორძიკდა.

წინ ფრიალო კლდე ყოფილიყო.

ტრიალ-ტრიალით გადაეშვა კაცი კლდიდან. სამფეხიანი ყუთი ხელიდან გაეშვა.

მივარდა ბრაზო კლდის პირას და უცქერის, ნახტომისთვის გამზადებული.

მიფრინავენ ტრიალ-ტრიალით ყუთი და კაცი. მიფრიალებს შავი ნაჭერი.

კლდის ძირას პატარა ტბა იყო. ყუთი ჩავარდა ტბაში, წყალი გააშხეფა და სამივე ფეხით ჩაერჭო ფსკერის ქვიშაში.

ერთხელაც გადატრიალდა ჰაერში კაცი, ზედ დაახტა და როგორც ცხენს, ისე გადააჯდა ყუთს. შავი ნაჭერი კი მხრებზე დაეფარა...

ბრაზომ რაღა ქნა? ისკუპა და ზედ დაახტა კაცს გასაბდღვნელად?

არა! მას გაუგებარი რამ დაემართა: უცქეროდა კაცს, მთელი სხეულით თახთახებდა, ბრაზიანი გამომეტყველება უცნაურად ეცვლებოდა...

და უცებ ხარხარი აუტყდა.

მართლაც სასაცილო იყო ყუთზე ნაღვლიანად გადამჯდარი, მაგრადთვალმოხუჭული კაცი, რომელსაც შავი ნაჭერი მოსასხამივით ჰქონდა მხრებზე...

ჰოო, რას ხარხარებდა ბრაზო!

მიწაზე დაიწყო კოტრიალი. თვალებიდან ცრემლები სცვიოდა, მეტი აღარ შემიძლიაო, თათებს იტყაპუნებდა მუცელზე.

ფოტოგრაფმა გამოიჭყიტა...

დიახ, ალბათ თქვენ უკვე მიხვდით, რომ ეს კაცი ფოტოგრაფი იყო.

ჩამოძვრა ფოტოგრაფი, ჩახტა წელამდე წყალში და ყუთის მბზინავი თვალი მოხარხარე ლომს დაუმიზნა.

გადაუღო. და მაშინვე ამოაძრო ყუთიდან სურათი...

გორავდა ბრაზო მიწაზე და ხარხარებდა.

ბოლოს მორჩა სიცილს, თათით ცრემლები მოიწმინდა და ძირს გადაიხედა.

ყუთიანი კაცი აღარ იყო ტბაში.

„სად წავიდაო"? — გაიფიქრა ბრაზომ და შორიახლოს ქაღალდის ფურცელი შეამჩნია.

აიღო, დახედა და რას ხედავს: ფურცელზე ისა ხატია, თუ როგორ ხარხარებს.



უყურა ბრაზომ სურათს, უყურა და მოეწონა მხიარულად მოელვარე თვალები და ყურებამდე გაღებული პირი.

—ნუთუ მე ვარ ასეთი? — იფიქრა ბრაზომ. — ჰო, ნამდვილად მე ვარ. თურმე სულაც არა ვყოფილვარ დაღრეჯილი.

ამოიღო ჩანთიდან სარკე, ჩაიხედა და გაუღიმა თავის ორეულს.

— დაღრეჯილი კი არა, ძალიანაც ლამაზი ვყოფილვარ. ოღონდ სულ უნდა ვიღიმებოდე, — უთხრა თავის თავს ბრაზომ.

მერე მიიხედ-მოიხედა და დაიყვირა:

— ეი, კარგო კაცო, სადა ხარ? მოდი ჩემთან!

ბუჩქებში დამალულმა ფოტოგრაფმა დაინახა, თუ როგორ უღიმოდა ლომი თავის ორეულს სარკეში, ამიტომაც აღარ შეშინებულა და გამოვიდა.

— მადლობელი ვარ, ძმაო! გავეცნოთ ერთმანეთს. მე ბრაზო მქვია,— თათი გაუწოდა ბრაზომ ფოტოგრაფს.

— ღიმო, ბატონო! — გაიღიმა ფოტოგრაფმა და ბრაზოს თათს ხელი შეაგება.

— ღიმო?.. ხშირად იღიმები და იმიტომ, ხომ? აუჰ, რა კარგი სახელია! — ჩაფიქრდა ბრაზო. მერე კი სთხოვა: — მოდი, რა, მეც ეგრე მერქვას?!

— კი ბატონო, გერქვას, — გაუღიმა ფოტოგრაფმა. — გაუმარჯოს ღიმოლომს!

ბრაზოს მთლად გაებადრა სახე. მერე თვალები მილულა და ჩუმად ჩაიჩურჩულა: ღიმო ლომი... ღიმო ლომი... რა კარგია!..

და უცებ ამღერდა:

ღიმოკაცი და ღიმოლომი...
ღიმოკაცი და ღიმოლომი...
ჰეი-ჰეი... ჰეი-ჰეი-ჰეი!..

ფოტოგრაფმაც მოიღერა ყელი და აჰყვა სიმღერას:

ღიმოლომი და ღიმოკაცი...
ღიმოლომი და ღიმოკაცი...
ჰე-ჰე-ჰეი, ჰე-ჰე-ჰეი... ჰეი!..

დიდხანს იმღერეს ეს სიმღერა, რომელშიც მხოლოდ ორი სიტყვა იყო: „ღიმოკაცი და ღიმოლომი“.

სიტყვების სიცოტავეს ხელი სულაც არ შეუშლია მათთვის იმაში, რომ ბევრი ეხტუნათ, ეკოტრიალათ და ყირაზე მდგარიყვნენ. ერთი სიტყვით, ბევრი ემხიარულათ...

ბოლოს ლომმა კაცს თათი მოჰხვია მხარზე და ჰკითხა:

— შეიძლება, ორივე ღიმოს ერთად რომ გადაგვიღოს სურათი ამ ყუთმა?

და ფოტოგრაფმაც დაუქნია გაჩეჩილი თავი.

დადის ბედნიერი ღიმოლომი. დროდადრო შეჩერდება და ამოიღებს ჩანთიდან სარკეს და ფოტოსურათს. ჩაიხედავს სარკეში და თვალს ჩაუკრავს თავის მოღიმარ ორეულს. მერე კი ფოტოს დახედავს.

ფოტოზე გაღიმებულები და მხარზე ხელთათგადახვეულები დგანან ლომი და ფოტოგრაფი. ფაფარი და გაბურძგნილი თმა-წვერი ძალიან უგავთ ერთმანეთს.

ამ ამბავს ფოტოგრაფის დავალებით ვაქვეყნებ.

ყველას, ვისაც სურს ღიმოლომთან სურათის გადაღება, ფოტოგრაფი გთხოვთ, რომ გაზაფხულის პირველ კვირადღეს სისხამ დილით ქალაქის პარკში შადრევანთან მოხვიდეთ სამოგზაუროდ გამზადებულნი. ოღონდ, რაც მთავარია, თქვენს ღ ი მ ი ლ ე ბ შ ი ყველაზე საუკეთესოს წამოღება არ დაგავიწყდეთ.



# გივი ძნელაძე-60

ოთხი ათეული წელია, ქართულ საბავშვო მწერლობას თავისი საყმაწვილო პოეზიის ნიმუშებით დაუღალავად ამდიდრებს, ფერსა და ლაზათს ჰმატებს ცნობილი პოეტი გივი ძნელაძე. მის ხალას, ღრმაშინაარსიან პოეტურ სტრიქონებს იყვარებენ, იზეპირებენ, მღერიან სკოლამდელებიცა და მოსწავლეებიც. იყავი გამრჯე, მცოდნე, კაცთმოყვარე, მშობლიური მიწა-წყლის უებრო ქომაგი, ამხანაგისათვის, მეგობრისათვის თავდადებული, — შთააგონებენ ნორჩ მკითხველს გივი ძნელაძის ლექსები და პოემები. „მხარზე დამარტყი, სამშობლოვ, ხელი და მეც ჩამთვალე შენს ერთგულ კაცად“, — სასოებით მიმართავს ერთ-ერთი ლექსის ლირიკული გმირი მშობლიურ ქვეყანას და ამით ყველა ქართველი მოზარდის გულისთქმას გამოხატავს.



გივი ძნელაძე წლების მანძილზე მუშაობდა ჩვენი ჟურნალის რედაქციაში და დიდი სიყვარულით, უანგაროდ იღვწოდა „პიონერის“ ყოველმხრივ სრულყოფისათვის. იგი კვლავაც მისი უახლოესი მეგობართაგანია.

ახლახან გივი ძნელაძეს დაბადების 60 წელი შეუსრულდა.

ჟურნალ „პიონერის“ რედაქცია და სარედაქციო კოლეგია ნორჩ მკითხველებთან ერთად მხურვალედ ულოცავენ იუბილარ პოეტს თავისი ცხოვრების ღირსშესანიშნავ თარიღს, უსურვებენ დიდხანს სიცოცხლეს და ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

### მიწის და ჩემი სალამი

გუშინ მთელი დღე წვიმდა...
გუშინ მთელი დღე ქუხდა!
დღეს კი — ცა არის წმინდა,
დღეს კი — ცა არის სუფთა.

დიდი მნათობი ცაზე
მიიზლაზნება ზანტად...
ქვეყანას სალამს აძლევს —
სხივებს მოკითხვასატანს.

ამოხასხასდა ბალახი
მიწის სიღრმიდან ზემოთ...
— მისი და ჩემი სალამი
ერთად მიიღე, მზეო!

### სამშობლო

შენ — იყავი.
შენ ახლაც ხარ,
შენ — იქნები მუდამ...
ეს — ასეა.
განა ამას
ლაპარაკი უნდა?!
მე თუ ახლა
რამეს ვიტყვი, —
ეს არ არის იჭვი:
ორღობეში
მოტინტილობს
ფეხშიშველა ბიჭი! —
აი, შენი მომავალი,
შეუწყვეტი სუნთქვა.
შევხედე და დავიჯერე:
— შენ იქნები მუდამ!

### მზის ჩასვლისას...

მზე დედამიწას თავზე ადგა
ბრწყინვალე ჯილად...
იდგა ხალხი და ქვითინებდა
სახლში და გარეთ...
რაღაც ფირფიტებს ერთმანეთზე
ურტყამდა ვიღაც
და ექვსი კაცი აკვნესებდა
საკრავებს მწარედ.
სახლში დროდადრო გვირგვინები
შევქონდა ბავშვებს...
მომცრო კუბოში ჩვენი ტოლი
ბიჭუნა იწვა.
ეზოს გადაღმა, მაყვლიანში,
გალობდა შაშვი
და... გაზაფხულის სამოსელში
ხარობდა მიწა.
ხალხი უეცრად შეიძრა და...
ატირდა უფრო...
სამარადისო განშორების
წუთები დადგა;
მზემ ჩამავალმა შემოჰხვია
სხივები კუბოს,
მერე
ასწია და ნელ-ნელა
წაიღო სადღაც!..

### იმედი გზაზე — ღამით

ქარი ჰქრის და ჰქრის და
თან სცრის,
მარტო მივალ გორმაღალს...
გზაზე მოდის ვიღაც კაცი, —
გაუმარჯოს მომავალს!..

# მეგობრობის ახალი მისამართები




საკავშირო შეკრების დღეები დაუვიწყარია თითოეული მისი მონაწილისათვის, მათ შორის — ჟურნალისტებისათვის, რომლებმაც შეკრებაზე ბევრი საზრიანი, ინიციატივიანი, პრინციპული აქტივისტი პიონერი გაიცნეს: ამ თქვენს თანატოლებს ყველაფერზე შესტკივათ გული, რაც მათ ორგანიზაციას ეხება, გრძნობენ, რა დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ.

ვფიქრობ, ჩვენი რესპუბლიკის პიონერული აქტივისათვის საინტერესო იქნება ზოგიერთი მათგანის გაცნობა.

**ბორის ანდრიუშინი**

ლიპეცკის ოლქის სოფელ კონ-კოლოდეზსკის სკოლის მერვეკლასელია. ბორიას რაზმეულში წამოიწყეს ოპერაცია „ამანათი ავღანელ მეგობრებს". ყველაფერი, რაც შეაგროვეს, ყმაწვილებმა ავღანეთის საბავშვო სახლების აღსაზრდელებს გაუგზავნეს. რაზმეულის პიონერებმა მშვიდობის ფონდშიც გადარიცხეს ფული, — იგი ფასიანი კონცერტით გამოიმუშავეს. სპექტაკლიც დადგეს, რომელშიც ბორისი მთავარ როლს თამაშობდა. კულტურის სასახლეში გამართულ ამ წარმოდგენაზე ბილეთები გაიყიდა და მას ბევრი მაყურებელი დაესწრო.

შარშან, ზაფხულში, ბორიას რაზმმა საკუთარი თაოსნობით 2 ჰექტარზე დაამუშავა შაქრის ჭარხალი. პიონერები კოლმეურნეობას თავთავიანი კულტურების აღებაშიც მიეხმარნენ.

ბორის ანდრიუშინი თავის კლასში მათემატიკასა და რუსულ ენაში ჩამორჩენილი მოსწავლეების კონსულტანტია. ეს საქმე თვითონ ითავა და თანაკლასელებიც სიამოვნებით მეცადინეობენ მასთან.

რაზმში უყვართ წინამძღოლი და პატივსაც სცემენ მას. იგი ყველაფერში მაგალითის მიმცემია ამხანაგებისათვის. ასე იყო, მაგალითად, მაშინ, როცა რაზმი მაკულატურას აგროვებდა: შეგროვილი 500 კილოგრამიდან 100 კილოგრამი მარტო ბორისმა ჩააბარა მიმღებ პუნქტს. ანდრიუშინი სპორტშიც გამოირჩევა; მეგობრები ამბობენ, ბორისის გვერდით ყოფნა დასვენების დროსაც სასიამოვნოაო. იგი კარგად უკრავს ბაიანზე.

**იგორ ზარეჩნევი**

მორდვეთის ასსრ ჩამზინსკის რაიონის სოფელ აპრაქსინსკის საშუალო სკოლიდანაა. იგი რაზმის საბჭოს წევრია, აქტიურად მონაწილეობს შრომით საქმიანობაში. ამაში მამამისია იგორის დამრიგებელი. ბიჭი მამასთან მექანიზებულ რგოლში მუშაობს, გაზაფხულზე საბჭოთა მეურნეობის ტექნიკის შეკეთებაშიც ეხმარებოდა მას, ხოლო შემოდგომაზე — მოსავლის აღებაშიც. იგორმა 7500 ცენტნერი ხორბალი გაანიავა.

**ანდრეი არტუშინი**

ქალაქ კიროვის მე-3 სკოლის მე-7 კლასში სწავლობს. მოსწავლეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეა. სკოლასა და პიონერთა ბანაკში ფოტოწრეს ხელმძღვანელობს. პიონერთა სასახლეში უმცროსი ასაკის ხუთი პიონერ-ინსტრუქტორი მოამზადა. ხშირად დადის სოფლის სკოლებში, სადაც ფოტოსაქმის შესწავლაში ეხმარება გოგო-ბიჭებს. რადიოტექნიკითაც არის გატაცებული. მისი ნამუშევრები ტექნიკური შემოქმედების რაიონულ და საოლქო გამოფენაზე უჩვენეს.

**დიმიტრი კრივოშეევი**

მე-5 კლასში სწავლობს. იგი ქალაქ ნოვოტროიცკის მე-17 სკოლის სერგეი ტიულენინის სახელობის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეა. ბევრი კეთილი საქმე წამოიწყეს რაზმეულში მისი ინიციატივით, მისივე დახმარებით დაამუშავეს თამაშების — „პლანეტის ცხელი ადგილები", „გახსოვდეს ქუჩაში მოძრაობის წესები — ეს შენი 'განაწესია" — დებულებები. დიმა ოქტომბრელთა მეგობრობის საბჭოშიც აქტიურობს. ოქტომბრელებს ზეიმების, დილების მომზადებაში ეხმარება; თავისი საშეფო კლასის ოქტომბრელების წინაშეც ხშირად გამოდის, ზღაპრის გმირებს ასახიერებს. ოქტომბრელები დიმას ერთ-ერთ საუკეთესო პიონერხელმძღვანელად თვლიან.

**ნატაშა შაპორენკო**

სწავლობს ორენბურგის ოლქის საშა ჩეკალინის სახელობის ნოვოორსკის მე-2 საშუალო სკოლაში. რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეა. ნატაშა და მისი მეგობრები აქტიურად მონაწილეობენ მშვიდობისათვის ბრძოლაში. ნატაშას წინადადებით სოფლის ცენტრალურ მოედანზე გაიმართა სოლიდარობის ბაზრობა. ამ დღეს მოსწავლეების ბევრი ნამუშევარი გაიყიდა. მიღებული თანხა — 175 მანეთი — პიონერებმა მშვიდობის ფონდში გადარიცხეს. ნატაშამ და მისმა ამხანაგებმა სტიქიით დაზარალებული საქართველოს რაიონების მოსწავლეებს ამანათები გამოუგზავნეს.

ახლა, როცა თქვენ უკვე იცნობთ IX საკავშირო შეკრების რამდენიმე მონაწილეს, ალბათ გაგიჩნდებათ სურვილი იმეგობროთ მათთან, გაიზიაროთ მათი გამოცდილება, რომელიც უთუოდ დაგეხმარებათ პიონერული ორგანიზაციის მუშაობის გარდაქმნაში.

**ნათელა ფაილოძე**



ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი
№12

## მილოცვა

ახალი წელი თენდებოდა.

სოფელი თეთრ, უმტვერო ზეწარში გახვეულიყო. გადმოთოვლილ სახლებთან თოვლი ზვინებად ეყარა. დაბალი ოდა-სახლების საკვამურებიდან კვამლი ზლაზვნით მიიწევდა ზემოთ და გაყინულ ჰაერს ნელ-ნელა ალღობდა.

სოფლის მყუდროებას მხოლოდ ძაღლების ყეფა და მოშიებული საქონლის ბღავილი თუ არღვევდა.

...იგი ჩაბნელებულ ოთახში ბუხართან იჯდა. მხრებზე თბილი ღაზლი მოეხურა და სევდიანი თვალებით ალისფერ ნაკვერცხლებს ჩასცქეროდა. მაგიდაზე გაყვითლებული სამკუთხა წერილები და მისალოცი ბარათები ეყარა. იქვე, გვერდით, სათვალე იდო.

ბუხართან ძაღლი მიწოლილიყო და თათები კუთხეში მიყრილ ფიჩხებზე შემოეწყო. თვალები მიელულა და ხანგამოშვებით წკმუტუნებდა.

— დაიწვები, შე საცოდავო! — დაიჩურჩულა მოხუცმა, კუდში ხელი წაავლო და ძაღლი ცეცხლს მოაშორა. ძაღლმა ერთი ბრაზიანად დაიღრინა, წამოდგა, გაიზმორა და კუდამოძუებული მაგიდისაკენ გაემართა, რომ მის ქვეშ უკეთესად მოკალათებულიყო.

უკვე მეოთხე ახალ წელს ხვდებოდა მოხუცი მარტო. შვილი და შვილიშვილები ქალაქს შეჩვეოდნენ და უკან დაბრუნებას აღარ ფიქრობდნენ. ხანდახან ზაფხულობით თუ ჩამოვიდოდნენ, ისიც ცოტა ხნით, რათა მერე დასასვენებლად ზღვაზე გამგზავრებულიყვნენ. ახლა კი... უეცრად ფიქრის ძაფი ძაღლის ყეფამ გაუწყვიტა. აივანზე ვიღაც ფეხებს აბაკუნებდა, ეტყობოდა, თოვლს იბერტყავდა.

— ნინო მასწავლებელო! — მოესმა მოხუცს ფოსტალიონის ხმა.

ფოსტალიონს ხელში ფერად-ფერადი მისალოცი ბარათების დასტა ეკავა.

— ახალ წელს გილოცავენ, ნინო მასწავლებელო! — მიმართა ფოსტალიონმა თვალებში სხივჩამდგარ მოხუცს...

ყოფილი მოსწავლეები ახალ წელს ულოცავდნენ.

ცრემლჩამდგარი დასცქეროდა ბარათებს.

ყურებდაცქვეტილი ძაღლი გაკვირვებული უყურებდა მოხუცს.

გარეთ ისევ ხვავრიელად ბარდნიდა.

ლია კომახიძე,
ლანჩხუთი, მე-2 საშუალო სკოლა, IX კლასი.



მაია გერიკაშვილი,
თიანეთის საშუალო სკოლა,
VI კლასი.



დათო კაკუშაძე, ქუთაისი,
მე-8 საშუალო სკოლა, IV კლასი.

### ჩემი იმერეთი

ბაგრატის ტაძარი, ჭალები რიონის,
აქოჩრილ ტალღების ცეკვა და სიმღერა,
მთათა ფერდობებზე მუხნარი, მურყნარი,
ბარად კი რუების ცივ გულთა ძგერა.
მტვრიანი შარების ფიქრი და ნაღველი,
დაშაქრულ მტევნების სუნი მათრობელა,
კოპწია ოდებზე მზის სხივი ნათელი,
ხის კენწეროებში ღრუბლის ბურბუშელა.
აი, ასეთი ხარ ჩემი იმერეთი
და მჯერა, მარად იქნები ასეთი.

დავითმა აგაშენა, თამარმა დაგამშვენა,
აკაკიმ გიმღერა და ტაბიძის ალმაფრენამ
ცისკენ გაგაჭენა!
შენს მიწას ეამბორა დავით კლდიაშვილი,
ტილოზე გაგაცოცხლა დავით კაკაბაძემ
და რომ გავიზრდები, ჰო, რომ გავიზრდები,
არც მე გიღალატებ, ჩემო სიამაყევ.

გვანცა აგდალაძე,
თბილისი, 174-ე საშუალო
სკოლა, VI კლასი.

### ჯერ შენი თავი...

ჯერ შენი თავი გიყვარდეს,
რომ შეიყვარო სხვაც,
ოცნებაც უნდა იცოდე,



„ბავშვებს მშვიდობა გვინდა“
მაია ნასარიძე,
გორის საშუალო სკოლა, VI კლასი.

# ერთი დღის შთაბეჭდილება

თითქმის ყოველ ზაფხულს ბათუმში ვატარებ, იქ ჩემი ბებო და დეიდა ცხოვრობენ. დელფინარიუმშიც ბევრჯერ ვარ ნამყოფი, მაგრამ წლევანდელი სანახაობა გამორჩეულად დამამახსოვრდა. ერთ დილას მე და მამა დელფინარიუმში წავედით. სალაროსთან უამრავი ხალხი ირეოდა; მოდიოდნენ და მოდიოდნენ ტურისტთა ჯგუფები. ჩვენ შუადღის სეანსზე ავიღეთ ბილეთები. ადგილები აუზთან ახლოს დავიკავეთ. დაიწყო სანახაობა. რაღას არ აკეთებდნენ ეს უშველებელი დელფინები! რგოლებში ხტებოდნენ, ცხვირით ბურთს ათამაშებდნენ, მომთვინიერებელს დიდი მზრუნველობით აცურავებდნენ. აუზის კიდეზე ხელი ჩამოვდე. ერთმა დელფინმა სულ ახლოს ჩამისრიალა და, მგონი, ცხვირით ხელზეც მომეფერა. მაყურებლები ტაშს სცემდნენ და იცინოდნენ. მეც ვიცინოდი. უცებ დავფიქრდი იმაზე, თვითონ დელფინს მოსწონდა თუ არა მსახიობობა. იქნებ ზღვაში ცხოვრება ერჩივნა?

მე ჩემი სახლი ყველაფერს მირჩევნია, იქნებ — დელფინსაც?

ლიკა მელვინიშვილი,
თბილისი, კომენსკის სახელობის საშუალო სკოლა, V კლასი.



„სამზარეულოში“
შორენა ჯიშკარიანი,
ლაგოდეხი,
ლელიანის საშუალო სკოლა, VIII კლასი.

18447

შრომაში ოფლის ღვრაც,
პატივი ეცი მოყვარეს,
პატივი ეცი თავს.
სიცოცხლე, უსახელოი,
უფოთლო ხესა ჰგავს.

## „ოი, იდილია!“

ოი, ნანა, ნანა,
ოი, იდილია.
ცუდი მოქალაქე
ერის სირცხვილია!
ოი, ნანა, ნანა,
ოი, იდილია!
ქრთამის მოყვარულის
ბოლო ტირილია!
ოი, ნანა, ნანა,
ოი, იდილია!
პატიოსან კაცის
ჭერქვეშ სიცილია!
ოი, ნანა, ნანა,
ოი, იდილია,
ავი შვილის ყოლა
მშობლის სიკვდილია!

მაია ოჩიგავა,
თბილისი, მე-18 საშუალო სკოლა, IX კლასი.



ზვიად მურვანიძე, ლანჩხუთი, სკოლა-ინტერნატი, VIII კლასი.

## თოჯინები

ვინა თქვა, თითქოს
თოჯინები
არ საუბრობდნენ,
არ ფიქრობდნენ და
არ ოცნებობდნენ?
მე ხშირად ვუსმენ
მათ მხიარულ
ჟღურტულს,
სიმღერებს.
მინდა,
თქვენც უსმენდეთ,
რომ სიყვარულით
გაიხსენოთ პატარაობა.

მარეხ ციყელაშვილი,
ხაშური, მე-4 საშუალო სკოლა, IX კლასი.



# ბრძენთა ორგანიზაცია

ნ. ნადეჟდინა
მხატვარი
გივი ლონიკაშვილი

ბრძენთა ორგანიზაციის შექმნის იდეა მე კი არა, ტოლიას ეკუთვნოდა. ტოლია ხომ ყოველ წუთს იმაზე ფიქრობს, რა ახალი სისულელე გამოიგონოს. ერთხელაც, ხუთშაბათს, დასვენებაზე წინ გამომეჭიმა და მეკითხება:

— ქენკა, გაჩუმება შეგიძლია?

— კარგად მოგეხსენება, როცა გაკვეთილი არ ვიცი, ვდუმვარ, ვითარცა თევზი...

— არა, ასეთ სიჩუმეზე არ გეკითხები... აი, საიდუმლოს შენახვა თუ შეგიძლია?

— საიდუმლოსი?

— ყური დამიგდე, მინდა ბრძენთა ორგანიზაცია დავაარსოთ, წევრები მხოლოდ მე და შენ ვიქნებით, მესამეს ვერ მივიღებ, მეშინია, არ გაგვთქვას.

ტყუილად როდი მიჩივის ბებიაჩემი, ყველა სისულელის ჩასადენად მზად ხარო... არც დავფიქრებულვარ, ისე დავთანხმდი. მხოლოდ ამის მერე ვკითხე ორგანიზაციის დანიშნულების შესახებ.

— ხომ იცი, ქენკა, ბრძენი ძალიან ეშმაკი ადამიანია, ყველაფერი იცის და ყველაფერი შეუძლია. რაიმე უნდა მოვიფიქროთ. მოდი, გოგონებს ისეთი ოინები გავუკეთოთ, რომ დამნაშავე ვერავინ აღმოაჩინოს.

— პაროლიც მოვიგონოთ.

— მე უკვე მოვიგონე: ბრო — ჩვენი ორგანიზაციის შემოკლებული დასახელება...

ცნობისმოყვარე იულიამ ვეღარ მოითმინა, მოირბინა და მეკითხება:

— რაო, რას გეჩურჩულებოდა ტოლია?

— რასა და... საიდუმლოა. ჩვენ ბრძენთა ორგანიზაცია დავაარსეთ. სულ ერთია, მის დანიშნულებას ვერ გაიგებ...

— რასა ბრძანებ! — განაწყენებით მპასუხობს იულია.

პარასკევს ტოლია გასახდელში შემხვდა.

— პაროლი? — ვკითხე ჩუმად.

— ბრო.

უცებ ჩვენს იგრვლივ ყველამ კვნესა დაიწყო:

— ბრო, — კვნესოდა იულია.

— ბრო, ბრო, — იმეორებდა ტანია.

— რა მოგივიდათ, გოგოებო, რატომ კვნესით? — იკითხა ოლგამ.

— ვკვნესით კი არა... იმაზე ვფიქრობთ, რას გვიპირებს ბრძენთა ორგანიზაცია — ბრო.

გოგოები იცინოდნენ.

„ალბათ, ყური მოგვიგდეს“, — გავიფიქრე მე. — „მაგრამ იცინონ, იცინონ, ხვალ მორიგე ვარ და ვნახავთ, ვინ ვისზე გაიცინებს...“

მეორე დღეს, შაბათს, კლასში სპეციფიკური სუნი დატრიალდა. „სურნელება“ ყველაზე უწინ მე ვიგრძენი, რადგან იგი ტოლიასგან მოდიოდა. ჩვენ ხომ ერთ მერხზე ვსხედვართ.

— რა ხდება? — ვკითხე და ცხვირზე ცხვირსახოცი მივიფარე.

— ისეთი არაფერი, ალქიმიური ნივთიერების სუნია. — ტოლიამ ჯიბიდან რაღაც ფხვნილი ამოიღო, საკმარისი იყო, ფხვნილი წყალში ჩაგეყარა და ასამდე დაგეთვალა, რომ წყლიდან შადრევანი ამოიფრქვეოდა.

— ეს ფხვნილი ოლგას ჩაუყაროთ სამელნეში, ყველაზე მეტს ის იცინოდა...

— იქნებ მხოლოდ ნაწნავები დავუწიწკნა?

— არა, ასეთი ხუმრობები მოდაში აღარაა. ჩვენი საუკუნისთვის ჩამორჩენილობაა. შენ ფიქრი ნუ გაქვს, არ გეგონოს, ალქიმიური ფხვნილები ადამიანის სიცოცხლეს ემუქრებოდეს.

მეორე დასვენებაზე მე და ტოლია საკლასო ოთახში მარტონი დავრჩით. ზარის დარეკვას ალარაფერი უკლდა, ტოლიამ ოლგას სამელნეში ფხვნილი რომ ჩაუყარა, მე კართან ვდარაჯობდი.

ბავშვები თანდათან გროვდებოდ-



ნენ კლასში. მაგრამ... აი, ოლგამ თავის სამელნეს რაღაც ეჭვიანად დაუწყო თვალიერება. ნუთუ რაიმე შეამჩნია?

— ამხანაგის დაბეზღება სულმდაბლობის ნიშანია! — შემახსენა ტოლიამ.

ოლგა სამელნეს ისევ ყნოსავდა. ამ დროს მასწავლებელიც შემოვიდა. უცებ ოლგამ თავისი სამელნე ჩვენს მერხზე გადმოდგა. ტოლიას მისი უკან მიბრუნება უნდოდა, მაგრამ მასწავლებელი უკვე თავს გვადგა და დავსხედით.

ერთი გაფიქრება — მერხში ჩავიკუზები და სახეს დავიცავ-მეთქი, — გავიფიქრე, მაგრამ... სამელნეში უკვე რაღაც აშიშინდა.

ფერდაკარგული ტოლია უცებ აბუტბუტდა, ალბათ ასამდე ითვლიდა.

— ტოლია, რა გიჭირავს? ხელები მაგიდაზე დააწყვე! — მიმართა მასწავლებელმა.

და ტოლიამ ხელი უშვა იმ წყეულ სამელნეს... შიშინმა იმატა და ბოლოს ჰაერში შავმა შადრევანმა იფეთქა.

ფეხზე წამოვცვივდით.

— ვინ მოიგონა ეს სისულელე?! — იკითხა მასწავლებელმა.

— ჩვენ! — ერთხმად ვაღიარეთ მე და ტოლიამ.

მთელი კლასი იცინოდა. მელნით დათხუპნული ტოლია ლეოპარდს დაემსგავსა. უკეთესად არც მე გამოვიყურებოდი, მაგრამ სიცილის გუნებაზე არც ერთი არ ვიყავით, არც მაშინ, საკლასო ოთახის იატაკს რომ ვრეცხავდით, არც მაშინ, მელნით დასვრილები შინისაკენ რომ მივიჩქაროდით, მით უმეტეს მაშინ, რაზმის საბჭოს წინაშე რომ წარვსდექით. დანა პირს არ გვიხსნიდა.

ეშმაკმა დალახვროს ეს ბრო!

მაშ ასე:

ბრძენთა ორგანიზაცია დაიშალა. წევრობაზე უარის თქმა პირველმა ვიკადრე. მე გამოვედი და ორგანიზაციად მარტო ტოლია ხომ ვერ დარჩებოდა?

თარგმნა **ლამარა ძინძიბაძემ**

### სარკმელი კოსმოსში

# სამთვარო სამეცნიერო ლაბორატორია

პრაქტიკული კოსმონავტიკის მიღწევებმა დღის წესრიგში დააყენა პლანეტათშორისი მოგზაურობანი. ამ საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთვარის ათვისებას. საბჭოთა მთავრობამ წერილით მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს პერეს დე კუელიარს. წერილში მოცემულია კოსმოსის მშვიდობიანი ათვისებისთვის სახელმწიფოთა ერთობლივი პრაქტიკული ღონისძიების 2000 წლამდე პროგრამა.

ჩვენი საუკუნის 40-იანი წლებიდან ცნობილია, რომ მთვარე დედამიწის გარშემო ელიფსური ფორმის ორბიტაზე მოძრაობს 1,02 კმ/წმ სიჩქარით. ერთი დღე მთვარეზე დედამიწისეული ორი კვირის ხანგრძლივობისაა. ეკვატორულ სარტყელზე დღისით მთვარის ზედაპირი +120°C-მდე ხურდება, ხოლო ღამით ტემპერატურა −170°C-მდე ეცემა. დედამიწასა და მთვარეს შორის საშუალო დაშორება დაახლოებით 384 000 კმ-ია. ამგვარად, მთვარე 100-ჯერ უფრო ახლოა დედამიწასთან, ვიდრე მეზობელი პლანეტა ვენერა. მთვარის რადიუსი 1738 კმ-ია, ე. ი. მისი დიამეტრი 4-ჯერ ნაკლებია დედამიწისაზე. სიმძიმის ძალის აჩქარება მთვარეზე 1,62 მ/წმ$^2$-ია, რაც 6-ჯერ ნაკლებია, ვიდრე დედამიწის ზედაპირზე.

ადამიანი მთვარეზე 6-ჯერ ნაკლებს იწონის. მთვარეზე მყოფ ადამიანს შეუძლია 6-ჯერ უფრო მაღლა და უფრო შორს გადახტეს, ვიდრე დედამიწაზე. მას 6-ჯერ უფრო მძიმე საგნების აწევაც შეუძლია, ამასთან, 15 მეტრის სიმაღლიდან ჩამოხტომისას, მთვარის პირობებში, ადამიანს არაფერი დაუზიანდება.

მთვარე დედამიწისაკენ ყოველთვის ერთი მხარითაა შემობრუნებული. ამიტომ მისი მეორე მხარის აგებულების შესახებ კარგა ხანს არაფერი ვიცოდით. ასევე, ძნელი იყო მისი ფიზიკური მახასიათებლების — ზედაპირის ქიმიური და მინერალური შემადგენლობის შესახებ მსჯელობა. არაფერი იყო ცნობილი არც მთვარის წიაღის აგებულების შესახებ. ასე გახლდათ კოსმოსური ერის დაწყებამდე...

1954 წლის 2 იანვარს საბჭოთა კავშირში გაუშვეს ავტომატური პლანეტათშორისი სადგური „ლუნა-1“, რომელმაც მთვარის ზედაპირიდან 6000 კმ დაშორებით გაიარა და იქცა მსოფლიოში პირველ მზის სისტემის ხელოვნურ თანამგზავრად. 1959 წლის სექტემბერში მთვარის ზედაპირს მიაღწია საბჭოურმა ავტომატურმა სადგურმა „ლუნა-2“-მა. 1959 წლის ოქტომბერში კი ავტომატურმა სადგურმა „ლუნა-3“-მა გარს შემოუარა მთვარეს და დედამიწაზე მისი უკანა მხარის ფოტოსურათი გადმოსცა.

1966 წლის იანვარში მთვარის გამოკვლევაში ახალი ეტაპი დაიწყო. მთვარის ზედაპირზე დაეშვა ავტომატური სადგური „ლუნა-9“. სატელევიზიო სისტემის საშუალებით დედამიწაზე გადმოიცა მთვარის ლანდშაფტის პანორამა. აღსანიშნავია, რომ მთვარის გრუნტის ზედაპირული ფენის სიმკვრივე ისეთივე აღმოჩნდა, როგორიც დედამიწის მარცვლოვანი მასალებისა.

1969 წელს საბჭოური ავტომატური სადგურის „ზონდ-7“-ის საშუ-

ალებით 10 ათასი კილომეტრის დაშორებიდან გადაიღეს მთვარის ფერადი ფოტოსურათები, რომლებზეც მკვეთრად ჩანს მისი ზედაპირის რელიეფი.

კოსმონავტიკის შემდგომმა განვითარებამ უფრო რთული ამოცანის გადაწყვეტაც გახადა შესაძლებელი, კერძოდ — დედამიწაზე მთვარის გრუნტის ჩამოტანის ამოცანა. 1970 წლის სექტემბერში მთვარის ზედაპირზე დაეშვა ავტომატური სადგური „ლუნა-16“, რომელმაც გაბურღა გრუნტი და მისი სინჯები აიღო. რაკეტამ უზრუნველყო როგორც ავტომატური სადგურის სტარტი მთვარის ზედაპირიდან, ასევე მთვარის გრუნტის სინჯებიანად დედამიწაზე მისი დაბრუნებაც. 1970 წლის ნოემბერში ავტომატურმა სადგურმა „ლუნა-17“-მა მთვარის ზედაპირზე აიტანა მოძრავი აპარატი, მთვარემავალი „ლუნახოდ-1“. მთვარემავალს მუშაობა მოუხდა დედამიწისაგან მკვეთრად განსხვავებულ პირობებში, კერძოდ, ვაკუუმის, შემცირებული სიმძიმის ძალისა და ტემპერატურის მკვეთრი განსხვავების ვითარებაში.

მთავარი სიძნელე კი იმაში მდგომარეობდა, რომ მთვარემავალსა და მართვის ცენტრს შორის დიდი მანძილი იყო — 380.000 კმ-ზე მეტი. მთვარემავალმა მთვარეზე 10 540 მეტრი მანძილი გაიარა, ამან მას მთვარის ზედაპირის 8000 კვადრატული მეტრი ფართობის შესწავლის საშუალება მისცა. ზედაპირული გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებები 500-ზე მეტ წერტილში იყო შესწავლილი.

1972 წლის თებერვალში მთვარეზე გაიგზავნა ავტომატური სადგური „ლუნა-20“, რომელმაც მთვარის მთიანი რაიონიდან დედამიწაზე გრუნტის სინჯები ჩამოიტანა. დადგინდა, რომ მთვარის სხვადასხვა რაიონში გრუნტის შემადგენლობა განსხვავებულია. იმავე წელს საბჭოურმა ავტომატურმა სადგურმა „ლუნა-21“-მა მთვარის ზედაპირზე აიტანა მთვარემავალი „ლუნახოდ-2“.

მთვარის ზედაპირის შესწავლაზე მუშაობენ ამერიკული ავტომატური სადგურებიც. ისინი 6-ჯერ იყვნენ მთვარეზე, საიდანაც 400 კგ გრუნტის ნიმუშები ჩამოიტანეს.

მთვარის სრული ათვისების პირველ ეტაპად უნდა მივიჩნიოთ სამთვარეო სამეცნიერო ლაბორატორიის მოწყობა. ასეთი ლაბორატორიის პროექტების შექმნაზე კარგა ხანია მუშაობენ სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტები. პირველი პროექტები დაახლოებით 20 წლის წინათ შეიქმნა. 1987 წლის 29 მაისს გაზეთ „იზვესტიაში“ დაიბეჭდა ცნობა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს მონაცემებით, მთვარეზე დასახლებული ბაზის შექმნის გეგმის შესამუშავებლად 1988 წელს გამოიყოფა 1,2 მილიონი დოლარი, ხოლო 2005 წლისათვის გათვალისწინებულია მთვარეზე დიდი სამეცნიერო ობიექტის შექმნა.



ეს ფერადი ფოტოსურათი 1969 წელს გადაიღეს ავტომატურ სადგურ „ზონდ-7“-დან. სადგური მთვარისგან 10 ათასი კილომეტრითაა დაშორებული.

ეს დიდი საქმეა, — სამთვარეო ლაბორატორია უნიკალური ცდებისა და ტექნოლოგიური პროცესების ჩატარების საშუალებას მოგვცემს, ხოლო სამთვარეო ობსერვატორია გარეატმოსფერული ასტრონომიის საფუძველია. გარეატმოსფერული (ე. ი. უჰაერო სივრცეში) დაკვირვებისას კი არ არსებობს ისეთი ხელშემშლელი ფაქტორები, როგორიც არის გაბნეული სინათლე და მოლრუბლულობა. აქ ციურ სხეულთა გამოსახულებები არ განიცდიან ციმციმსა და თრთოლვას, ეს კი იძლევა ფოტომეტრული და ასტრომეტრული გაზომვების სიზუსტისა და ოპტიკური ტელესკოპის გარჩევისუნარიანობის საგრძნობი ზრდის საშუალებას.

გარეატმოსფერული დაკვირვებისას დიდ პრობლემად იქცევა ხოლმე აპარატურის სტაბილური ორიენტაცია. ორბიტული სადგურის ქიმიდან დაკვირვებისას აპარატურის ორიენტაცია ყოველთვის როდია სტაბილური. ამ თვალსაზრისით, პრობლემას საუკეთესოდ წყვეტს სამთვარეო ობსერვატორია. მთვარეზე დაყენებული ოპტიკური მიკროსკოპით ჩვენ შეგვიძლია უახლოესი ასი ვარსკვლავის პლანეტების დათვალიერება, ხოლო რადიოტელესკოპის საშუალებით სამყაროს გალაქტიკებსაც შევხედავთ!

მიუხედავად მთელი ჩატარებული მუშაობისა, მთვარის აგებულება ჯერ ისევ საკამათოა. სამთვარეო სამეცნიერო ლაბორატორიის ასაგებად საჭიროა სამშენებლო მასალები, მაგრამ როგორი?

თქვენთვის უკვე ცნობილია, რომ ავტომატურმა სადგურებმა დედამიწაზე მთვარის გრუნტის ნიმუშები ჩამოიტანეს. სპეციალისტებმა დაამუშავეს ისინი, წყალში გახსნეს და... მიიღეს ბეტონი. დამტკიცდა, რომ შეიძლება სამშენებლო აგურისა და ბლოკის მიღებაც. გარდა ამისა, გრუნტი კოსმოსური რადიაციისაგან დაცვასაც უზრუნველყოფს.

მთვარეზე წყალიც არის, სახელდობრ, იგი არის აქაურ ქვაში — ილმენიტში. წყლის მისაღებად ილმენიტი წყალბადთან ერთად უნდა გავახუროთ, წყალბადი კი შეგვიძლია მთვარის ზედაპირიდან მივიღოთ — მილიარდი წლის მანძილზე მზის ქარი აქ წყალბადით აჯერებს გრუნტს...

სასუნთქი ჟანგბადის მიღება იმავე ილმენიტისაგან შეიძლება მისი გახურებით: ერთი კილოგრამი მინერალი 100 გრამზე მეტ ჟანგბადს იძლევა.

ამგვარად, მთვარეზე ყველაფერია, რაც კი საჭიროა სიცოცხლისთვის. არ არის მხოლოდ საკვები პროდუქტები. ამიტომ მომავალში მთვარეზე

# ხე და არქიტექტურა



ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცობრიობის პირველი ხუროთმოძღვრების — პირველყოფილი ადამიანის აგებული თავშესაფრიდან დაწყებული და თანამედროვეობის უდიდეს არქიტექტორთა ნაგებობებით დამთავრებული, საცხოვრებლის მშენებლობის საქმემ უმნიშვნელოვანესი ევოლუცია განიცადა.

როგორ აგებდა თავშესაფარს ჩვენი წინაპარი? ამ კითხვაზე პასუხისას ძირითადად პრიმიტიული კულტურის მქონე თანამედროვე ხალხთა საცხოვრებლების შენების დონესა და ხასიათს ვითვალისწინებთ. ჰიუჯ ჯონსონი მონოგრაფიულ ნაშრომში „ტყე" თვლის, რომ დაბალი განვითარების თანამედროვე ხალხთაგან ყველაზე მარტივ სახლ-თავშესაფარს ავსტრალიელი აბორიგენები აგებენ. ასეთი თავშესაფრის სახურავი ხეთა ტოტებზე სახელდახელოდ გაშლილი გამხმარი ბალახი ან ჩალაა, სახურავი ეყრდნობა ხის ბოძებს და უკარფანჯროა. ამგვარი პრიმიტიული ნაგებობა განსაკუთრებით მოსახერხებელია აბორიგენებისათვის, რომლებიც ნადირობისას და საკვებ მცენარეთა შეგროვებისას მომთაბარე ცხოვრებით ცხოვრობენ.

სახლმშენებლობა უფრო მაღალ საფეხურზეა ახალი გვინეის აბორიგენებში, რომლებიც თავიანთთვის მუდმივ საცხოვრებლებს აგებენ. ამ მიზნით ისინი ჯუნგლებში გარკვეულ ტერიტორიას მცენარეებისაგან წმენდენ. ადგილობრივი ოსტატები ჯერ მომავალი შენობის კარკასს ამზადებენ. კარკასს წრიული ფორმა ეძლევა. მიწაზე მოხაზულ წრეხაზზე არჭობენ თავ-ბოლოში გათლილსა და წაწვეტებულ ხის მორებს, შემდეგ ამ წვეროებზე აყრდნობენ კონუსისებურ, ხის მსხვილი ტოტებისაგან შეკრულ სახურავს, რომელსაც ბოძებზე ხვიარა მცენარეებით აბამენ. ასეთი მარტივი სახლი შესასვლელიანია, თუმცა უკარო.

და ბოლოს... პრიმიტიული არქიტექტურის მწვერვალი — ცენტრალური აზიისა და ზოგიერთი მეზობელი რეგიონის ხალხთა საცხოვრებელი — იურტა. სპეციალისტები თვლიან, რომ, სახლის ასაგებად გამოსაყენებელი მასალების დაზოგვის თვალსაზრისით, იურტა მშენებლობის ისტორიაში ყველაზე ეკონომიური ნაგებობაა. იგი ადვილად იშლება და იგება, ტრანსპორტაბელურია, სიცხისა და სიცივის პირობებში ადვილად ეცვლება ფორმა. ამიტომ არის, რომ ადამიანის ხელით შე-

---

ორანჟერეები და ბიოკომპლექსები უნდა გაშენდეს. საწყის ეტაპზე კი მთვარეზე საჭმლის ატანა დაგვჭირდება. იქნებ უკვე შეიტყვეთ, რომ ბოტანიკოსებმა აქ საინტერესო ექსპერიმენტი ჩაატარეს? მთვარის გრუნტში მათ მიერ დარგულმა მცენარემ... იხარა!

მაგრამ წყლის, ჰაერის, საჭმლისა და სამშენებლო მასალების გარდა, სამთვარეო ბაზისათვის ენერგიაც არის საჭირო. ამ საკითხზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ზოგი სპეციალისტი საჭიროდ თვლის ბირთვული ან თერმობირთვული ელექტროსადგურების დაყენებას, ზოგი მზის ბატარეების მომხრეა.

განათების საკითხი შედარებით მარტივად გადაწყდება. დედამიწის ზედაპირიდან არეკლილი მზის სხივები ისე ანათებენ, რომ სამთვარეო ლაბორატორიის მუშაკებს საშუალება მიეცემათ, იმუშაონ დედამიწელთათვის ნაცნობი „თეთრი ღამეების" პირობებში.

მთვარის ათვისების ეტაპები შემდეგი მიმდევრობითაა ჩაფიქრებული: ჩვენი საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისისათვის ნავარაუდევია ახალი თაობის ავტომატური ზონდების შექმნა. ამ ზონდების საშუალებით სამთვარეო ლაბორატორიისათვის ხელსაყრელი ადგილმდებარეობის შერჩევას ფიქრობენ. შემდეგ ავტომატური მთვარემავლების საშუალებით ჩატარდება სამთვარეო ბაზის შექმნისათვის საჭირო საინჟინრო გაზომვები და, ბოლოს, მთვარის ზედაპირზე ორი ყველგანმავლით ოთხი ადამიანი გადასხდება. 30 დღის მანძილზე მათ უნდა შეძლონ საცხოვრებელი შენობის ადგილმდებარეობის ზუსტი ადგილის შერჩევა. მშენებლები, მემონტაჟეები, მკვლევრები მთვარის ზედაპირზე მხოლოდ მას შემდგომ დასხდებიან, რაც ავტომატები ყველა საჭირო მოწყობილობას აიტანენ. ამისათვის დაგეგმილია რვა რეისი, მეცხრე რეისით კი მთვარის ზედაპირზე სადგურის ძირითადი შემადგენლობა ავა და გეგმიურ მუშაობას დაიწყებს.

გრანდიოზულია მთვარის ათვისების პროექტი, რომლითაც კაცობრიობა მესამე ათასწლეულში უნდა შევიდეს. იმაზე, თუ როგორ შეძლებს იგი კოსმოსის მშვიდობიანი ათვისებისთვის ძალთა გაერთიანებას, დამოკიდებულია პროექტის ბედ-იღბალი.

**ა. ბეთანელი,**

**პროფესორი.**

ქმნილ პრიმიტიულ ნაგებობათაგან XX საუკუნის ბოლომდე მასობრივად მხოლოდ იურტა შემორჩა.

განვლო ათასწლეულებმა და ადამიანთა პირველყოფილი პრიმიტიული თავშესაფრები იშვიათმა ნაგებობებმა შეცვალეს. უძველეს ხის ნაგებობათაგან ყველაზე სრულყოფილია წმინდა ტაძრები. ისინი ბევრმა ქვეყანამ დღემდე მკვიდრად შემოინახა. ამ ტაძართაგან არაერთი ჩვენი წელთაღრიცხვის XI ან უფრო ადრეული საუკუნეებითაც თარიღდება.

ამ ხანის დასავლეთ ევროპაში ხის ხუროთმოძღვრების განვითარებას ხელი შეუწყო აქ არსებულმა უმდიდრესმა შერეულმა ტყეებმა. მთლიანი მორებისაგან ნაგები სასახლეების სამშობლოდ აღმოსავლეთი ევროპა ითვლება. სლავების სამშენებლო მასალა იყო სხვადასხვა წიწვოვანი ხეები: ნაძვი, ფიჭვი, უფრო კი ლარიქსი. ფოთლოვანებიდან იყენებდნენ მუხას, ნეკერჩხალს, ცაცხვს, წიფელს, თელას. თითქმის მთლიანად მუხისაა ნოვგოროდის წმინდა სოფიას ტაძარი (ჩვ. წ. 989 წელი). სლავი ხუროები XX საუკუნის დასაწყისამდე მასობრივად თითქმის არ ხმარობდნენ ლურსმანს. დიდი მომხიბვლელობით გამოირჩევა სლავების ხის ეკლესიათა სახურავები. მოხატულობათა სინატიფე აქ ზღაპრულ დონეს აღწევს.

აღმოსავლეთის ქვეყნების რელიგიური ძეგლები არქიტექტურული ღირსებებით ჩამორჩება ევროპისას. ჩინელთა წმინდა ტაძრები გამოირჩევა ღერძული სიმეტრიით, იაპონიაში კი საუკუნეთა მანძილზე აგებდნენ ასიმეტრიულ სალოცავებს. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ბუდასადმი მიძღვნილ ტაძრებს აშენებდნენ იშვიათი, ე. წ. „არისტოკრატი" ხეებისგან. ესენია კვიპაროსი, კედარი, იაპონური ჰინოკი. ტაძრების ფასადის მოსაპირკეთებლად იყენებდნენ წითელ ფიჭვს, ადგილობრივ ნეკერჩხალს, მუხას და ა. შ.

ხის ნაკეთობანი ძალზე პოპულარული იყო ძველ ეგვიპტეშიც. აქ, სხვა ცივილიზაციებისაგან განსხვავებით, უხვად შემორჩა ადგილობრივი ხეებისგან დამზადებული საგნები. ეგვიპტელებს სწამდათ, რომ მიცვალებულს საიმქვეყნოდ გამოსაყენებლად, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნებთან ერთად, ხის ნაკეთობებიც დასჭირდებოდათ. დღემდე შემორჩენილია სხვადასხვაგვარი უძვირფასესი ავეჯი — თვალსაჩინო საბუთი ეგვიპტელ ხელოსანთა მაღალი ხელოვნებისა.

კაცობრიობის ცივილიზაციის აღმასვლამდე გაცილებით ადრე ეგვიპტის მიწაზე არსებული ტროპიკული ტყეები გაუდაბურდა. იალღუნი, აკაცია და ეგვიპტის ბინადარი სხვა პარკოსანი ხე-ბუჩქები, აგრეთვე პალმაც, სამშენებლო საქმისთვის ვერ გამოდგებოდა, ამიტომ ძვირფასი ავეჯის დასამზადებლად ტყე უცხოეთიდან შემოჰქონდათ. განსაკუთრებით ფასობდა შავი ან ებონის ხე. ეს მარადმწვანე ხე ამჟამადაც ხარობს დედამიწის სუბტროპიკულ და ტროპიკულ ზონებში. ჰეროდოტეს ცნობით, შავ ხეს ეგვიპტელები ეთიოპელებისაგან იღებდნენ საჩუქრად. მისგან აქ მზადდებოდა ხელჯოხები, სკივრები, არფები, იგებოდა სარკოფაგები და ქანდაკებები. ებონის ხის მასალას, სპილოს ძვალთან ერთად, იყენებდნენ სხვა სახეობის ხისგან დამზადებული ავეჯის მოსართავადაც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავეჯის ორნამენტის ძველეგვიპტური ტექნიკა ძალზე მაღალი დონისა იყო, მისი მოპირკეთებისა და გაპრიალების ხელოვნება კი ცნობილია, სულ მცირე, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3000 წლიდან.

ახლა, რაც შეეხება ანტიკურ სამყაროს... ელინელთა და რომაელთა მიერ დამზადებული ავეჯი დღემდე ძალზე ცოტა შემორჩა, თუმცა აქაური ხუროთმოძღვრები ხის მასალით განებივრებულებიც კი ყოფილან. ისინი უფრო იყენებდნენ ციტრუსოვანთა მერქანს, რომელიც შემოჰქონდათ მავრიტანიიდან და ჩრდილო აფრიკიდან; ადგილობრივი ხეებიდან — ნეკერჩხალს, მუხას, ცაცხვს, წიფელს და ა. შ. ხის მასალისთვის სათანადო ელვარების მისაცემად მას აპრიალებდნენ ზღვის მელას — სკაროსის ტყავით. ეგვიპტელთა მსგავსად, ავეჯის ნაწილების ერთმანეთთან დასაკავშირებლად, ბერძენი და რომაელი ოსტატებიც იყენებდნენ ხის „ლურსმნებსა" და წებოს. ავეჯის ფეხებს ხშირად ამსგავსებდნენ ხოლმე ცხოველთა კიდურებს, ესეც ეგვიპტელ ხუროთა გავლენა იყო. დროთა განმავლობაში ისინი ავეჯის უფრო სწორხაზოვანმა საყრდენებმა შეცვალა.

მაგრამ ბარბაროსებმა შემუსრეს კაცობრიობის ეს უძველესი ცივილიზაციები. განადგურდა მატერიალური კულტურის, მათ შორის, ხუროთმოძღვრების არაერთი ნიმუში, მაგრამ ის, რამაც ამა თუ იმ გზით ჩვენამდე მოაღწია, ფილიგრანული ფორმებითა და მაღალმხატვრულობით დღესაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

ხე-ტყის სიჭარბესა და მისი მხატვრული დამუშავების მაღალ ოსტატობას საქართველოში არაერთი ისტორიული წყარო ადასტურებს. სტრაბონი ასე ახასიათებს



წარმატებით აგრძელებს წინაპართა ტრადიციას ახალგაზრდა მხატვარი მევლუდ ჩარქსელიანი. მისი ნახელავი ხის კარი ამშვენებს უშგულის (ზემო სვანეთი) წმ. გიორგის ეკლესიას.

# გამოჩენილი კომპოზიტორების ღიმილი

## ბედნიერება

ერთხელ ცნობილი გერმანელი კომპოზიტორი იოჰანეს ბრამსი აკომპანიატორობას უწევდა ერთ მდარე ვიოლონჩელისტს. ბრამსი ისე ხმამაღლა უკრავდა, რომ თავისი პარტნიორის ხმას ფარავდა. საბრალო ვიოლონჩელისტმა თავი ვეღარ შეიკავა და შეევედრა:

— გთხოვთ, ცოტა დაბალ ხმაზე დაუკრათ, თორემ საკუთარი საკრავის ხმა სულ არ მესმის...

— ბედნიერო! — გამოსცრა კბილებში ბრამსმა.

## გასამრჯელო

ვენის საუკეთესო ექიმის ნოთნაგელის ქება-დიდებამ ქრონიკულად დაავადებული ერთი ვაჭრის ყურამდეც მიაღწია და იგი მასთან სამკურნალოდ მივიდა.

ვაჭარი, ცოტა არ იყოს, ხელმოჭერილი კაცი გახლდათ და წინასწარ გამოიკითხა, ექიმი გასამრჯელოს რამდენს იღებსო. რომ გაიგო, პირველ გასინჯვაში 25 ოქროს იღებს, ხოლო ყოველი შემდეგი გასინჯვისას 10 ოქროსო, ეძვირა და დაიწყო ფიქრი, როგორ მიეღწია მიზნისთვის უფრო იაფად. მოიფიქრა კიდეც და მეორე დღეს, საკუთარ თავში დარწმუნებულმა, ექიმისაკენ გასწია.

როცა რიგმა მოაღწია და მის წინ ექიმის სამუშაო ოთახის კარი გაიღო, ვაჭარი ღიმილით გაემართა ნოთნაგელისაკენ, ძველი ნაცნობივით ხელი დაუქნია და მხიარულად შესძახა:

— მაქვს პატივი, კვლავ გეახლოთ, ბატონო პროფესორო!

ნოთნაგელი ერთი წუთით დაბნეულად მიაჩერდა მისულს, მაგრამ თავისი შესანიშნავი მეხსიერების წყალობით მალე მიხვდა, რომ ეს მისი ძველი პაციენტი არ იყო და ეშმაკობდა. ექიმმა არაფერი აგრძნობინა ვაჭარს და გულდასმით გასინჯა.

— თქვენი სნეულება ისევ უცვლელ მდგომარეობაშია. ჯერ ისევ უნდა იხმაროთ ის წამლები, რომლებიც უკანასკნელად გამოგიწერეთ, — უთხრა ექიმმა, ჯიბეში ათი ოქრო ჩაიდო და ნირწამხდარი პაციენტი გარეთ გაისტუმრა.

## სასურველი ფინალი

ცნობილი გერმანელი კომპოზიტორი და მევიოლინე ლუდვიგ შპორი თავისი ახალი ორატორიის რეპეტიციებზე რვა წლის ქალიშვილთან ერთად დადიოდა. გოგონა ყოველთვის უხალისოდ უსმენდა ორატორიას, მაგრამ ფინალური ფუგა რომ აჟღერდებოდა, საგრძნობლად გამოცოცხლდებოდა ხოლმე.

— მოგწონს ჩემი ფუგა? — ჰკითხა მამამ შვილს.

— არა, მამიკო,— მიუგო გოგონამ,— მაგრამ როცა მუსიკოსები ამ ფუგას იწყებენ, ვიცი, რომ ნაწარმოები უკვე მთავრდება, მალე შინ დავბრუნდებით და ვისადილებთ.

## საომარი ხრიკი

იოჰანეს ბრამსი დილეტანტებს ვერ იტანდა, ისინი კი მოსვენებას არ აძლევდნენ, ჩვენი ნაწარმოებები მოისმინეთო. კომპოზიტორი ყოველთვის ცდილობდა, ამგვარი შეხვედრები თავიდან აეცილებინა.

ერთხელ ბრამსი შინიდან გამოდიოდა. გზად ვიღაც ახალგაზრდას შეეჩეხა, ჭაბუკი იღლიაში ამოჩრილი ნოტების დასტით კიბეზე ამოდიოდა. იგი ბრამსს ვერ სცნობდა და ჰკითხა, ხომ ვერ მეტყვით, ბრამსი სად ცხოვრობსო.

— მესამე სართულზე, — მიუგო კომპოზიტორმა და მშვიდად განაგრძო გზა.

## ორი მფლობელი

ბეთჰოვენის უმცროსი ძმა იოჰანი მეაფთიაქე იყო და სარფიანი ვაჭრობის წყალობით სწრაფად გამდიდრდა, შეიძინა ჩინებული ადგილ-მამული და მას შემდეგ ხელს ასე აწერდა ხოლმე: „იოჰან ბეთჰოვენი, ადგილ-მამულის პატრონი“.

ერთხელ მან ძმას საახალწლო მილოცვა გაუგზავნა და იქაც ასე მოაწერა ხელი.

დიდმა კომპოზიტორმა დეპეშა რომ წაიკითხა, სამაგიერო მილოცვა გაგზავნა და ხელი მოაწერა:

„ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი, ტვინის პატრონი!“

თარგმნა შ. ამირანაშვილმა

---

კოლხეთს: „...და მოიპოვება ნავსაშენი ყოველი მასალა, რადგან იზრდება აქ მრავალი ტყე და მდინარეებითაც ჩამოიტანება“. სამეგრელოს აღწერისას აქაურ მდიდარ ტყეებზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს არქანჯელო ლამბერტიც. აი, მისი სიტყვები: „ბზის ხეებით სავსეა მთელი ზღვის პირი და ზოგი ქვიანი მთა (იგი უთუოდ გულისხმობს კირქვიან მთას, რადგან ბზა კალცეფილური ანუ კირქვის მოყვარე მცენარეა. — ა. გ.), უფრო ბლომად იზრდება ეს ხე მეზობელ აფხაზეთში. მოჭრილი ხეები მიაქვთ ზღვის პირზე და იქ ცვლიან მარილზე, რომელიც მოაქვთ თურქთა გემებს“.

დიდი ივანე ჯავახიშვილის აზრით, ხით ხუროობა ხელოვნების საფუძველი და ქვით ხუროობის ტრადიციის მასაზრდოებელია.

ქართველ ხალხს ჰყავდა შესანიშნავი მხატვრები, ხუროთმოძღვრები და ხეზე კვეთის ოსტატები, რომლებიც ხის ჩუქურთმებითა და ორნამენტით ამკობდნენ ე. წ. „საერო“ და „საჯალაბო“ სახლებს.

საქართველოს მუზეუმებში დაცულია ან მოქალაქეთა კერძო საკუთრებას წარმოადგენს სახლმშენებლობის, მეავეჯეობის, მეკევრეობის, მეტივეობის, მეგობეობის, მეყავრეობის და სხვათა ამსახველი უამრავი ნივთიერი მასალა. ეს ყოველივე კი ქართველი კაცის ყოფაში ხით ხუროობის უდიდეს მნიშვნელობას გვიდასტურებს. ჯერ მარტო რაჭული რიკულებიანი აივნების, სვანური მაჩუბის დირე-კარებისა და სამახვშო საკარცხლულის, გურულ-მეგრული თუ იმერული საწნახელებისა და სრულიად საქართველოს ტაძარ-ეკლესიების ფასადებზე ამოჭრილი უმდიდრესი და უფაქიზესი ორნამენტების ჩამოთვლა რად ღირს...

როგორც ვხედავთ, ენით აუწერელია ის სამსახური, რომელიც ჩვენი სამყაროს არსებობის მთელ მანძილზე ტყემ გაუწია ადამიანს. ტყე იყო მისი პირველი მასაზრდოებელი და შემმოსავი, მისი შემფარებელი და დამსახლებელი. ტყისა და მის წიაღში გამოზრდილი თითოეული ხის ამაგი დღემდე გადაუხდელ ვალად აძევს კაცობრიობას.

არნ. გეგეჭკორი

ფოტო ავტორისა

პასუხი 1987 წლის №5-ში დასმულ კითხვებზე



# ანანურის ხუროთმოძღვრული ანსამბლი

ანანურის ხუროთმოძღვრული ანსამბლი ჩვენამდე სრული სახით მოღწეული ერთ-ადერთი საერო, სამხედრო და საკულტო ნაგებობაა, რომლის მნიშვნელობა ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში განუზომელია. იგი მდებარეობს დუშეთის რაიონში, თბილისიდან 56 კმ მანძილზე, საქართველოს სამხედრო გზაზე, ამავე სახელწოდების სოფელთან. სახელოვანი ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსი“ წერს: „მისაქციელიდან და ოხერხიდიდამ ანანურამდე არს ვენახოვანი, ხილიანი, და ოხერხიდის ჩრდილოთ არს ბოდორნის ქვაბნი გამოკვეთილნი და ციხე მაგარი... ჩრდილოთ მისა, არანისთან ზანდუკლის ხევი, მას ზეით ვერთხევის ხევი. ამ ხევისა და არაგვის კიდეზედ არს ანანური. ძველად იყო ეკლესია მცირე, არამედ წელსა ჩღდ (1704) აღაშენა გიორგი ერისთავმან ეკლესია გუმბათიანი, დიდი. გარემო მოავლო ზღუდე ქვიტკირისა, და მაღალსა კლდესა ზედა ქმნა კოშკი და ციხე“. როგორც ვხედავთ, ვახუშტის თქმით, აქ ადრე მცირე ეკლესია ყოფილა, რომლის კვალი ამჟამად არ ჩანს.

ანანურის ანსამბლში მხოლოდ დიდ გუმბათოვან ტაძარს აქვს დამათარიღებელი წარწერა. ეს არის ცხრასტრიქონიანი მხედრული წარწერა, რომელიც გვაცნობს ძეგლის მშენებლებს, მოხსენიებულია ეკლესიის ქტიტორი, არაგვის ერისთავის გიორგის ძმა, მდივანბეგი ბარძიმი და სარქარი, ე. ი. მშენებლობის ზედამხედველი ვინმე ქაიხოსრო ბალსარაშვილი. აქვეა მოცემული მშენებლობის დამთავრების თარიღი — 1689 წელი.

ვახუშტის ცნობაში ეჭვის შეტანა ძნელია. მიუხედავად ამისა, გაოცებას იწვევს დიდი ეკლესიის წარწერისა და ვახუშტის ცნობის სხვადასხვაობა. არც მშენებლის ვინაობა და არც თარიღი ერთმანეთს არ ემთხვევა. თუ ეკლესია ერისთავმა გიორგიმ ააშენა, მას წარწერაში აუცილებლად მოიხსენიებდნენ. ასე რომ, ეს საკითხი დასაზუსტებელია.

XVIII საუკუნის დამდეგს ანანური მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტია. 1989 წელს, ერთ-ერთი კოშკის არქეოლოგიური შესწავლის დროს, აქ აღმოჩნდა ვენეციური ოქროს მონეტის ნაწილი და შაჰ ჰუსეინის ვერცხლის მონეტა, რაც ადასტურებს, რომ ანანური სავაჭრო ცენტრი ყოფილა. არაგვის საერისთაოს გაუქმების შემდეგ (1743 წ.) ანანური მეფის ხელში გადავიდა და იგი პატარა ქალაქად იქცა, სადაც გადიოდა რუსეთიდან მომავალი გზა. მომდევნო ხანებში ანანური დუშეთის აღზევებამ დააკნინა.

ანანურის ანსამბლში შედის რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაგებობა. აქ არის ზედა და ქვედა ციხე; ციტადელის ცენტრში მოქცეულია ხუთსართულიანი, პირამიდულსახურავიანი ე. წ. ხევსურული კოშკი; აღმოსავლეთით აღმართულია მცირე ზომის ერთნავიანი ეკლესია, რომელსაც „მკურნალს“ ეძახიან, და მცირე ზომის გუმბათოვანი ეკლესია „ღვთაება“. ანსამბლის ცენტრალური ნაგებობა დიდი გუმბათიანი ეკლესიაა, იგი ანსამბლის საერთო სახეს განსაზღვრავს და კომპოზიციურად მაორგანიზებელ როლს ასრულებს. ანსამბლს გარს ეკვრის მძლავრი კედელი, რომელშიაც ჩაშენებულია რამდენიმე კოშკი, არის წყალსაცავი ნაგებობა, რვაწახნაგოვანი მიწისქვეშა შენობა და ერთნავიანი ეკლესიაზე დაშენებული სამრეკლო. როგორც ვხედავთ, ანანური რთული და მეტად თავისებური ხუროთმოძღვრული ანსამბლია.

როგორც ვთქვით, ანსამბლის ცენტრალური ნაგებობა დიდი გუმბათოვანი ეკლესიაა, რომელიც ანსამბლის ძირითად მხატვრულ სახეს ქმნის. იგი, წარწერის თანახმად, 1689 წელს აუგიათ. ტაძარი ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობაა, იგი ღვთისმშობლის სახელს ატარებს. გუმბათი ეყრდნობა საკურთხევლის კუთხეებსა და დასავლეთის ორ სვეტს. აფსიდა ღრმაა, ცენტრში დგას ტრაპეზი. აფსიდაში სამი ნიშია. ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს — ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან. როგორც ცნობილია, შესასვლელი კარი დასავლეთიდან უნდა იყოს, მაგრამ აქ ადრევე კოშკი იდგა. ეკლესიის მკლავებს ისრული ფორმის კამაროვანი გადახურვა აქვთ. გვერდითი მკლავები მოკლეებია, უფრო გრძელია დასავლეთის მკლავი. მისი კამარა შუაში საბრჯენ თაღს ეყრდნობა. ინტერიერში არ არის პილასტრი. გუმბათქვეშა თაღები კრონშტეინებს ეყრდნობა, ხოლო დანარჩენები პირდაპირ უერთდება კედელს. დასავლეთის მკლავი გვერდით ნაწილებთან თითო თაღით არის დაკავშირებული. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელზე გადასვლა აფრებით ხდება. ეკლესიის შიგა სივრცე კარგადაა განათებული, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა ამ ეპოქისათვის. სარკმელთა უმეტესობა გუმბათის ყელშია განლაგებული, სადაც თანაბარი ზომის თექვსმეტი მაღალი სარკმელი ერთნაირი ინტერვალითაა ერთმანეთისაგან დაშორებული. მკლავების სინათლის წყაროა საკურთხევლის სამი სარკმელი, ცენტრში — დიდი, გვერდებზე — პატარები. ჩრდილოეთ მკლავშიც სამი სარკმელია, სამხრეთში კი — ორი. ერთი სარკმელია დასავლეთ მკლავში. სარკმლები სხვადასხვა დონეზეა განლაგებული. ყველა სარკმელი ისრული ფორმის თაღით მთავრდება. ასეთივე ფორმა აქვთ ეკლესიის კამარასა და თაღს, გარდა გვერდების კამარებისა. საკურთხევლის გვერდითი სადგომები



რკინის შემცველობით ჰინჰარს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია მცენარეთა შორის. რძეში მოხარშული ჰინჰარი დაღესტნელ ღრმა მოხუცთა საყვარელი საჭმელია.

●

ფიჭვს, რომლის ტანის დიამეტრი 60-70 სანტიმეტრია, 30-40 მილიარდი (!) წიწვი ასხია.

●

ერთ ძირ ცაცხვის ხეზე ერთი დღის განმავლობაში ფუტკრის გუნდმა შეიძლება 10 კგ ნექტარი მოაგროვოს.

●

ერთ ჰექტარ აკაციას ზაფხულის განმავლობაში შეუძლია მოგვცეს 350, ერთ ჰექტარ სამყურას — 100, ერთ ჰექტარ ცაცხვს კი — 1000 კგ თაფლი.

●

ნედლი რკო შეიცავს მავნე ნივთიერებას — კვარცეტინს. თუ რკოს მოვხალავთ, კვარცეტინი იშლება და მოხალული ნაყოფისგან შეგიძლიათ მოადუღოთ რკოს „ყავა“ — ძალზე ნოყიერი სასმელი.

●

1 კგ მარცვლის დასამწიფებლად მარცვლოვანი კულტურები აორთქლებენ 800-1000 ლიტრ წყალს. ბრინჯი უფრო „გაუმაძღარია“ — 1 კგ ბრინჯის დამწიფებას 5-6 ტონა წყალი სჭირდება.

# იცნობთ თუ არა შენს მშობლიურ მხარეს?



გაუშვებო, მოგვწერეთ, რა არის ამ ფოტოზე აღბეჭდილი და რა იცით მის შესახებ

ორსართულიანია. სამკვეთლოსა და სადიაკვნეს ისრული ფორმის თაღოვანი გადახურვა აქვთ. სამკვეთლო საკურთხეველს კარით უკავშირდება. სამკვეთლო აფსიდიანია, სადიაკვნე კი სწორი კედლით მთავრდება. ზედა სართულზე ასასვლელი კიბე კედლის სისქეშია გამოკვეთილი. ეკლესიის კედლები შიგნით ნაგებია ყორე ქვით (აქა-იქ აგურია გამოყენებული). კედლები შელესილია, ისინი ადრე მოხატული ყოფილა, დღეს კი ფრაგმენტებია დარჩენილი („დღე განკითხვისა“ და წმინდანები). ძველი კანკელის კვალი არ ჩანს, ახლანდელი ახალია. ტაძრის ინტერიერი თავისუფალი და ვრცელია. ფასადები კარგად გათლილი ქვის კვადრებითაა შემოსილი. გადახურვა ქვისა იყო, ახლა თუნუქისაა. შენობა დგას მაღალ ცოკოლზე, კარნიზი უჩუქურთმოა, კედლები მორთულია სხვადასხვა სახის რელიეფებით.

პირამიდულ სახურავიანი (ხევსურული) კოშკი აგებულია დიდი ტაძრის დასავლეთით. მათ შორის მანძილი ერთი მეტრია. კოშკის მეხუთე სართული სათვალთვალოა, საიდანაც მოჩანს მთელი ხეობა. პირველ სართულს სარკმელი არ აქვს, მეორე და მესამე სართულს აქვს პატარა ხვრელები, მეოთხეზე დიდი სარკმელია. კოშკის კუთხეები გათლილი ქვებისაა. ამ ტიპის კოშკები გავრცელებულია თუშეთსა და ხევსურეთში. მკვლევართა აზრით, ეს შენობა ანსამბლის ყველაზე ადრინდელი ნაგებობა უნდა იყოს.

ერთნავიანი ეკლესია „მკურნალი“ ანსამბლის ქვედა ნაწილშია. მისი დასავლეთის კედელი ზედა ციხის კედელშია ჩართული. აფსიდა კონქითაა გადახურული, დარბაზი — კამარით, რომელსაც საბჯენი თაღი იჭერს. აქვს ორი შესასვლელი, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან; სარკმელი აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებშია. თაღი და კამარა ინტერიერში ისრისებურია. ეკლესიაზე დაშენებულია სამრეკლო. ნაგებობა თავისი ფორმებით XVI-XVII საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.

მცირე გუმბათიანი ეკლესია „მკურნალი“ თავისი ხუროთმოძღვრული ფორმებით XVII საუკუნის ძეგლია. მისი გუმბათი ეყრდნობა საკურთხევლის შვერილებსა და დასავლეთის ორ სვეტს. დასავლეთის მკლავი გამოყოფილია ჭვრისებური კამარით. შესასვლელი სამხრეთით და ჩრდილოეთით აქვს. ფასადები უბრალოა.

ისეთ დიდ ციხე-სიმაგრეს, როგორიც ანანურია, აუცილებლად სჭირდება წყალსაცავი, რაც ხუროთმოძღვარს გაუთვალისწინებია კიდეც. ორი დიდი აუზიდან წყალი საგანგებოდ აგებულ შენობაში მოედინება. ანსამბლში შედის, აგრეთვე, რვაწახნაგოვანი მიწისქვეშა შენობა, რომელიც ანსამბლის აღმოსავლეთ ნაწილშია მოთავსებული.

ანანური არაგვის ერისთავთა მუდმივი რეზიდენცია არ ყოფილა, ამიტომაც აქ სასახლე არ აუგიათ. დროებით საცხოვრებლად იყენებდნენ კოშკ „შეუპოვარში“ არსებულ ოთახებს. ანანური გვიანი ფეოდალური ხანის უმნიშვნელოვანესი ხუროთმოძღვრული ძეგლია. ამ სახისა და ასე კარგად შემონახული ძეგლი ჩვენ არ გაგვაჩნია.

ამირან ჩხარტიშვილი
ხელოვნებათმცოდნე

---

ბალახებისაგან მიიღება თითქმის 30 000 სამკურნალო პრეპარატი.

სამკურნალო თვისებებით შტოში (КЛЮКВА) სჭარბობს ფორთოხალს, ლიმონსა და ვაშლს: იგი შეიცავს 60-ჯერ მეტ „ა“ ვიტამინს და 20-ჯერ მეტ „ბ-2“ ვიტამინს.

100 გრ მწვანე ხახვი შეიცავს ადამიანისათვის საჭირო „ც“ ვიტამინისა და კაროტინის თითქმის მთელ დღიურ ნორმას.

1 ჰა ტყე წლის მანძილზე შთანთქავს იმდენ ნახშირორჟანგს, რამდენსაც ამოისუნთქავს 200 ადამიანი.

დედამიწის ატმოსფეროს ჟანგბადის ნახევარს ტყეები გამოიმუშავებენ.

მცენარეებს სიჩუმე უყვართ. ხმაური 47%-ით ანელებს ყვავილის ზრდას.



კიტრი ხელს უწყობს ორგანიზმიდან ზედმეტი მარილების მოცილებას.

ერთ ძირ კარტოფილს შეუძლია 16 კგ-მდე მოსავლის მოცემა, თუ ტუბერს საკმაოდ ღრმად ჩავფლავთ და მერე რეგულარულად მივაყრით ხოლმე მიწას.



გთავაზობთ ნაწყვეტს ს. არაქელიანის მოთხრობიდან „ექიმი სანჯაი“. მასში თქვენ გაეცნობით ინდოელი ხეიბარი ბიჭუნას ცხოვრების ერთ ეპიზოდს. მთლიანად მოთხრობაში კი აღწერილია, როგორ ჩამოდის სანჯაი საბჭოთა კავშირში სამკურნალოდ, როგორ ინკურნება, იღებს უმაღლეს სამედიცინო განათლებას და უკვე ჩამოყალიბებულ ექიმად ბრუნდება სამშობლოში.

# ბიჭუნა სანჯაი

სერგო არაქელიანი

მხატვარი ედ. ამბოკაძე

შუადღე გადასულია. ბომბეის ჩრდილოეთ რაიონის ერთ-ერთი ქუჩა — ჩორჩ-როუდი, როგორც ყოველთვის, ხალხით არის სავსე. პატარა სანჯაი ერთი სახლისკენ იკვლევს გზას. უჭირს ხეიბარ ბიჭუნას და მაინც ჯიუტად მიიწევს წინ. არც მაღაზიების მდიდრულად გაფორმებულ ვიტრინებს აქცევს ყურადღებას, არც გამვლელებს. ერთი ლამაზი პატარა სახლია, ღია ფანჯრიდან როიალის ჰანგები იღვრება. სანჯაი სახლის წინ ჩერდება, ტროტუარის კიდეზე ჯდება და მუსიკას უსმენს.

დაკვრა დამთავრდა და სანჯაის ბავშვების კისკისი მოესმა, მერე გოგონას ლაპარაკიც გაიგონა: დედას ეუბნებოდა, გაკვეთილი უკვე ვისწავლე და აღარ დავუკრავო.

— ნუთუ აღარ დაუკრავენ? — შეწუხდა სანჯაი, ტროტუარიდან პატარა ხმელი ტოტი აიღო და ღია ფანჯარაში შეაგდო.

ფანჯარას ათიოდე წლის გოგონა მოადგა, ტროტუარზე მჯდარი ბიჭი რომ დაინახა, დაუძახა:

— შენ, ეი, რატომ ისვრი?!

— აღარ ვიზამ, ოღონდ ისევ დაუკარი, — სთხოვა სანჯაიმ.

— კიდევ რა გინდა? შეკვეთებს არ ვღებულობ! — უთხრა გოგონამ და ფარდის მიღმა გაუჩინარდა.

სანჯაიმ ისევ შეაგდო ტოტი.

გოგონა ისევ გამოჩნდა ფანჯარაში.

— თუ არ შეწყვეტ, იცოდე, პოლიციაში დავრეკავ!

— სანამ „დაე, მუდამ იყოს მზეს“ არ დაუკრავ, ფეხსაც არ მოვიცვლი.

— ერთი შეხედეთ, ისიც კი სცოდნია, რას ვუკრავ,— დაცინვით თქვა გოგონამ.

ფანჯარაში სათვალიანი, ოდნავ მელოტი, სანდომიანი სახის მამაკაცი გამოჩნდა, გოგონას თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა:

— ასე მკვახედ ლაპარაკი როგორ შეიძლება? — შემდეგ სანჯაის მიმართა: — რა მოხდა, ბიჭუნა? რატომ განცვიფრდა ჩვენი პატარა ქალბატონი?

— რა ვიცი, ამოდენა გზა გამოვიარე მუსიკის მოსასმენად, ვთხოვე, „დაე, მუდამ იყოს მზე“ იმღერე-მეთქი, ეგ კი უარზეა, თან გული მოსდის.

— შენ საიდან იცი ეგ სიმღერა, ან ის რა იცი, რომ ეს გოგონა მღერის?

— რამდენჯერ მომისმენია, რუსი ტურისტები რომ მღერიან, და ძალიან მომწონს. აქ კი, ვიცი, რომ ამ დროს მუსიკის გაკვეთილი გაქვთ და ყოველდღე მოვდივარ მოსასმენად.

სათვალიანმა კაცმა საჩვენებელი თითით სათვალე გაისწორა, სანჯაის სერიოზულად შეხედა და შინ შეიპატიჟა.

ბიჭუნა ოთახში შევიდა, იქ მყოფ სამ გოგონასა და ქალს მიესალმა. ისინი ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს. ქალი დივანზე იჯდა, ეტყობოდა, გოგონების დედა იყო.

სანჯაი ოთახის შესასვლელთან კუთხეში იატაკზე დაჯდა. გოგონები გაოცებით და სიბრალულით მიაჩერდნენ მას.

სიჩუმე სათვალიანმა კაცმა დაარღვია:

— რა გქვია, შვილო?

— სანჯაი.

— რა ლამაზი სახელია! მშობლები გყავს?

— მყავს, — ამაყად უპასუხა სანჯაიმ და დაუმატა: — დაც მყავს.

— ძალიან მოხარული ვარ, კარგია, რომ მარტო არა ხარ, ძალიან ცუდია ცხოვრებაში მარტოკა ყოფნა. — შემდეგ გოგონებს მიუბრუნდა: — რას უდგეხართ? გაამხიარულეთ ჩვენი სტუმარი, დაუკარით და იმღერეთ მისი საყვარელი სიმღერა.

— სიამოვნებით დავუკრავ, დებმა კი იმღერონ, — თქვა უფროსმა დამ და როიალს მიუჯდა.

სანჯაი მთელი გულისყურით უსმენდა დებს. თვალები სიხარულისაგან უბრწყინავდა, რომ დაამთავრეს, მადლობა გადაუხადა და სათვალიან მამაკაცს მიმართა:

— გვერდით ოთახში წიგნებსა ვხედავ, ბატონო, თუ შეიძლება, დამათვალიერებინეთ თქვენი ბიბლიოთეკა.

— როგორც ვხედავ, მუსიკის გარდა, წიგნებიც გაინტერესებს. ძალიან კარგი, მობრძანდი, — და მამაკაცმა თავის კაბინეტში შეიყვანა ბიჭი.

— სანამ თქვენ ისაუბრებთ, მე სუფრას გავშლი, — თქვა ქალმა და სამზარეულოში გავიდა.

— რამდენი წიგნია! — აღმოხდა სანჯაის და თაროებზე კოხტად დაწყობილი წიგნების თვალიერება დაიწყო. — ყველა წიგნი თქვენი საკუთრებაა?

— არა, — ალერსიანი ღიმილით უპასუხა კაცმა. — წიგნები არ შეიძლება საკუთრება იყოს. წიგნებით სარგებლობა შეუძლია ყველას, ვისაც სურს; ისინი ხომ მრავალ რჩევას, ცოდნას და საინტერესო ამბებს შეიცავენ. როგორ შეიძლება, მარტო შენ წაიკითხო წიგნი, ან თაროზე შემოდებული მიატოვო! ხომ შემოდგომის ფოთოლივით გაყვითლდება! ეს კი სიკვდილს ნიშნავს, მეგობარო. წიგნები რომ არ მოკვდეს, ყველა ამხანაგსა და მეგობარს ნება დავრთე, ისარგებლონ ჩემი ბიბლიოთეკით.

— ნეტავი, ბევრი იყოს თქვენისთანა კარგი ამ ქვეყნად! — წამოიძახა ბიჭუნამ.

— არიან, ძალიან ბევრიც, ჩემო სანჯაი, სწორედ კარგი ხალხის წყალობით, ჩვენს ქვეყანაში მწყობრში დგება მეტალურგიული ქარხნები, ელსადგურები, მაღაროები, ვითარდება მეცნიერება და კულტურა.

— ყველა წიგნი წაკითხული გაქვთ, ბატონო, რაც აქ არის?

— თითქმის ყველა, — მშვიდად უპასუხა მამაკაცმა.

— მაშასადამე, თქვენ რამდენი რამე იცით, ღმერთო ჩემო! — გაოცებულმა თქვა სანჯაიმ და წიგნების ყდაზე სათაურების კითხვა დაიწყო. უცებ ხმამაღლა წაიკითხა: „მაჰაბჰარატა“. მამაკაცს გაუკვირდა: ბავშვი, რომელიც წეღან ასე ეცოდებოდა, თავისუფლად კითხულობდა წიგნების სათაურებს ინგლისურად და ჰინდის ენაზე.

— როგორც ვხედავ, შენ კარგად კითხულობ და ჭკვიანურადაც მსჯელობ. საინტერესოა, რა გაქვს წაკითხული?

— ბევრი რამ. როცა პატარა ვიყავი, დედა მიკითხავდა, მე კი ვუსმენდი, ახლა, პირიქით, მე ვკითხულობ, დედა კი მისმენს. დედა თვალებს უჩივის, კითხვისაგან ეღლება.

— რა დიდხანს საუბრობთ, სადილი კი დაგავიწყდათ, — კარებში ქალი გამოჩნდა.

— აბა, ჩემო სანჯაი, წავიდეთ, ვისადილოთ, — თქვა მამაკაცმა. მერე უცებ თაროსთან შეჩერდა, ერთ-ერთი წიგნი ჩამოიღო, გადაშალა, რაღაცა წააწერა და სანჯაის გადასცა.

ბიჭუნამ გამოართვა, სათაური წაიკითხა: „ინდოეთის შვილი“. შემდეგ ავტოგრაფი ჩაიკითხა: „ჩემს პატარა მეგობარს, დიდ პატრიოტს, ჭკვიან სანჯაის ავტორისაგან. ხოჯა ახმად აბბასი“.

— ესე იგი, ამდენ ხანს თქვენ გესაუბრებოდით, თქვენ, რომელსაც მთელი ინდოეთი იცნობს? და არა მარტო ინდოეთი... ღმერთო ჩემო, ყველაფერი ეს ნუთუ ცხადში ხდება? — თქვა აღტაცებულმა სანჯაიმ, ორივე ხელი ჯერ წიგნს მოუსვა, შემდეგ სახეზე მოისვა და ხმამაღლა წამოიყვირა: — ოჰ, არა, ეს სიზმარი არ არის! თქვენ ჩემი საყვარელი მწერალი ხართ! თქვენ — ხოჯა ახმად აბბასი.

თარგმნა იონა ბადავიძემ





# შევისწავლოთ საგზაო ანბანი



განყოფილებას უძღვება საქ. სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახავტოინსპექციის სამმართველოს აგიტაცია-პროპაგანდის ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის კაპიტანი თეიმურაზ ინასარიძე

არსებობს მოძრაობის მოწესრიგების კიდევ ერთი ფორმა — მოძრაობის რეგულირების სიგნალები. მძღოლებსა და ფეხით მოსიარულეებს ეს სიგნალები უმეტეს შემთხვევაში გადაეცემათ მოწყობილობის საშუალებით, რომელსაც ეწოდება

## შუქნიშანი



თქვენ კარგად იცით ამ სიტყვის მნიშვნელობა. შუქნიშანი ჩვენი სამთვალა ჩუმი მეგობარია, რომელიც საგზაო უსიამოვნებისაგან გვიცავს.

როგორ არის მოწყობილი მარტივი შუქნიშანი?

მას მხოლოდ სამი სხვადასხვა ფერის ელექტრონათურა აქვს, რომელთა შუქის ფერიც მკაცრად განსაზღვრული მნიშვნელობისაა.

მწვანე შუქი ნებას რთავს ფეხით მოსიარულეებსა და ავტომანქანების მძღოლებს, იმოძრაონ სასურველი მიმართულებით.

ყვითელი აფრთხილებს მათ, შეჩერდნენ და დაელოდონ ახალ სიგნალს.

წითელი შუქი კი კრძალავს ფეხით მოსიარულეთა და ავტომანქანების მოძრაობას.

ალბათ უკვე მიხვდით, რომ შუქნიშანი ფეხით მოსიარულეებსა და მძღოლებს ერთდროულად ანიშნებს სხვადასხვა სიგნალს. აბა, რა მოხდებოდა, ორივე მხარეზე ერთდროულად რომ ანთებულიყო მწვანე შუქი? ავტომანქანები და ადამიანები ერთმანეთში აირეოდნენ და შეიძლება უბედურებაც კი დატრიალებულიყო. შუქნიშნის ძირითადი მოვალეობა ხომ ის არის, რომ გამოჰყოს ერთმანეთისაგან ავტომანქანებისა და ფეხით მოსიარულეების ნაკადი. იმ მომენტში, როდესაც იგი ავტომანქანების მძღოლებს წითელი შუქით უბრძანებს „სდექ! გზა დაკეტილია!“ ფეხით მოსიარულეებს მწვანე შუქით ანიშნებს — „მობრძანდით, გზა ხსნილია“, და პირიქით, როდესაც ავტომანქანებს გზას გაუხსნის, ფეხით მოსიარულეებს გზას უკეტავს, მათგან ყველაზე უდისციპლინომაც კი ვერ უნდა გაბედოს შუქნიშნის ბრძანების დარღვევა. ის ხომ იმიტომ დააყენეს გზაჯვარედინზე, რომ ფეხით მოსიარულეებს სიცოცხლე და ჯანმრთელობა შეუნარჩუნოს, უბედური შემთხვევები და ავარიები ალკვეთოს!

ზოგიერთ ქალაქში ტროტუარზე დაყენებულია შუქნიშნები ფეხით მოსიარულეთათვის. ამ შუქნიშანზე ანთია ან მწვანე წარწერა — „გადადით“, ან წითელი — „სდექ“. აქ ყველაფერი გასაგებია. დაუჯერებთ ამ წარწერებს და ქუჩაზე გადასვლისას ხიფათსაც აიშორებთ.

ისეთ გზაჯვარედინებზე, სადაც მცირე მოძრაობაა. ხშირად აყენებენ განსაკუთრებულ „მოციმციმე“ შუქნიშნებს. მათზე ხან ინთება და ხან ქრება მხოლოდ ყვითელი შუქი. როდესაც ასეთ გზაჯვარედინთან მიხვალთ, განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოთ ქუჩის მეორე მხარეს გადასვლისას. როგორც უკვე იცით, უნდა გაიხედოთ ჯერ მარცხნივ, მერე — მარჯვნივ, რადგან ყოველ წუთს შეიძლება ავტომანქანა გამოჩნდეს.

შუქნიშნები ქუჩებში დაახლოებით 40 წლის წინათ გამოჩნდა. მაშინ მათ სპეციალურად ემსახურებოდა მილიციელ-მომწესრიგებელი. ასე ეძახდნენ მაშინ მილიციის მუშაკებს, რომლებიც გზაჯვარედინზე სპეციალურ ჯიხურში ისხდნენ და ხელით გადართავდნენ ხოლმე შუქნიშნის ფერებს.

შემდეგ გაჩნდა ავტომატური შუქნიშნები, რომლებიც მომწესრიგებლის დაუხმარებლად მუშაობდნენ.

თანამედროვე შუქნიშანი კი ზოგ შემთხვევაში მანქანების რაოდენობის მიხედვით თვითონვე იღებს გადაწყვეტილებას, მწვანე შუქი გადართოს თუ წითელი. ასეთი დანადგარები დიდ ქალაქებში უკვე არის და მათი მოწყობილობა ძალზე რთულია.

საგზაო ნიშნები, მონიშვნის ხაზები, შუქნიშანი, — თითქოს ყველაფერი ეს საკმარისია, რათა ავტომანქანებმა უსაფრთხოდ იმოძრაონ და ფეხით მოსიარულეებმა მშვიდად იარონ ქუჩებში. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ეს ასე არ არის.

ვთქვათ, შუქნიშანი გაფუჭდა, ანდა რომელიმე გზაჯვარედინზე, სადაც საერთოდ არა დგას შუქნიშანი, ბევრი ავტომანქანა და ფეხით მოსიარულე შეგროვდა. ამ შემთხვევაში მას შეცვლის მილიციის მუშაკი. მას ფორმის ტანსაცმელი აცვია და ხელში კვერთხი უკავია. ეს გუშაგი მოძრაობის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

ვიდრე გეტყოდეთ, თუ როგორ არეგულირებს იგი მოძრაობას, სიტყვა „კვერთხის“ მნიშვნელობას გაგაცნობთ. ასე ეძახიან მრგვალ ჯოხს, რომელიც შავი და თეთრი ზოლებითაა მოხატული. სწორედ ამ





ჯოხით არეგულირებს მილიციელი მოძრაობას. ოდესღაც კვერთხი ეწოდებოდა გრძელ, ძვირფასად მორთულ ჯოხს, — ყველაზე მაღალი ხელისუფლების სიმბოლოს.

კვერთხით ხელში გამოდიოდნენ ხალხის წინაშე მეფეები, ეპისკოპოსები, მხედართმთავრები. ამჟამად კვერთხით მხოლოდ მოძრაობის მომწესრიგებელი მილიციელები სარგებლობენ. აი, როგორ ხმარობენ ისინი მას:

თუ მოძრაობის მომწესრიგებელი თქვენკენ ან სახით დგას, ან ზურგით და ხელები ჩამოშვებული აქვს ან განზე გაშლილი, მოძრაობა აკრძალულია. ეს იგივეა, თითქოს შუქნიშანზე წითელი ფერი ენთოს.

როდესაც მომწესრიგებელი კვერთხიან მარჯვენა ხელს ვერტიკალურად ასწევს იმისდა მიუხედავად, ზურგით დგას იგი შენკენ, სახით თუ გვერდით, ეს ნიშნავს: „ყურადღება, ყველა გაჩერდეს! ახლა მე ახალ სიგნალს გაჩვენებთ".

ავტომანქანები, რომლებიც ამ დროს გზაჯვარედინზე აღმოჩნდებიან, ვალდებული არიან, გაათავისუფლონ იგი. ფეხით მოსიარულეებმა, რომლებსაც ქუჩაზე გადასვლისას მიუსწრებთ ეს ნიშანი, უნდა დაამთავრონ ქუჩაზე გადასვლა ან გაჩერდნენ „უსაფრთხოების კუნძულზე", ესე იგი, ყველა უნდა მოიქცეს ზუსტად ისე, როგორც შუქნიშნის ყვითელი ფერის ანთებისას.

თუ მომწესრიგებელი თქვენკენ მარცხენა ან მარჯვენა გვერდით დგას და ხელები დაშვებული აქვს (მარჯვენა ხელი შეიძლება გვერდის გასწვრივ ჰქონდეს გაშიშული), ეს ნიშნავს: „გზა ხსნილია, შეგიძლია მშვიდად იმოძრაო". ეს ნიშანი შუქნიშნის მწვანე ფერის ტოლფასია.

მოძრაობის მომწესრიგებლის კიდევ ერთი ნიშანი უნდა დაიმახსოვროთ — თუ იგი თქვენკენ გვერდით დგას, მაგრამ მარჯვენა ხელი წინ აქვს გაშიშული, ეს ნიშნავს, რომ მან ტრანსპორტს მისცა უფლება, მოუხვიოს მარჯვნივ ან მარცხნივ. ამ შემთხვევაში ქუჩაზე გადასვლა არ შეიძლება.

ძალიან ხშირად მომწესრიგებელი დგას გზაჯვარედინზე, სადაც შუქნიშანიც მუშაობს, იგი ეხმარება მძღოლებსა და ფეხით მოსიარულეებს, უკეთ გაერკვნენ სიტუაციაში, კარნახობს, როგორ უნდა მოიქცნენ ამა თუ იმ შემთხვევაში, კრძალავს მოძრაობის წესების დარღვევას. მაგრამ აი, იგი დადგა გზაჯვარედინის შუაში და მოძრაობის რეგულირება დაიწყო, შუქნიშანი კი მუშაობს. არ გაგიკვირდეთ, განსაკუთრებულ შემთხვევაში ასეთი რამ შეიძლება მოხდეს, თუ ამ დროს მოძრაობის მომწესრიგებელმა სხვა მნიშვნელობის სიგნალი მოგცათ, ხოლო შუქნიშანზე სხვა ნიშანი ანთია — უნდა დაემორჩილოთ მომწესრიგებელს, მოძრაობის წესებით ის მთავარია. ე. ი. მაშინაც კი, როდესაც შუქნიშანზე მწვანე შუქი ანთია, ხოლო მომწესრიგებელი თქვენკენ სახით ან ზურგით დგას და ხელები ან ჩამოშვებული აქვს, ან განზე გაშლილი, გადასვლა არ შეიძლება. გზაჯვარედინზე ამ დროს ყველა უნდა დაემორჩილოს მომწესრიგებელს.

მხატვარი ედ. ამბოკაძე



## ცისარტყელას ყველა ფერი

ქალაქ ზანდერჰაუზენის (გდრ) როზარიუმში, სადაც 18 ჰექტარ ფართობზე 6500 ჯიშის ვარდი ხარობს, ბევრი საოცრებაა. შავი ვარდი აქაურობის მთავარი საკვირველება არ გეგონოთ. ყველაზე კურიოზულია მწვანე ვარდი, რომელიც ფერით საკუთარი ფოთლებისაგან არ გამოირჩევა.

## სამეთუნეო ჩრე და დანა

ინდოეთის შტატი ბიჰარი განთქმულია თავისი მეთუნეებით. ამ ხელობას აქ თითქმის ოთხიათასწლიანი ფესვები აქვს. საინტერესო ის არის, რომ ბიჰარელი მეთუნეები ნაირგვარ ჭურჭელთან ერთად კრამიტსაც ამზადებენ. ზოგს ალბათ უნდობლად ეღიმება, მაგრამ ფაქტი-ფაქტია. სამეთუნეო ჩრეზე მომცრო მილის გამოყვანა ძნელი არ არის, ამას შეგირდიც კარგად ართმევს თავს. ნახევრად ფაბრიკატს იგი ოსტატს გადასცემს, ის კი დანის ზუსტი მოქნევით მილს შუაზე ჭრის. ამის შემდეგ ნახევრებს გამოწვავენ და კრამიტიც მზადაა.

## იხსენით სახელებისაგან!

ეკვადორის პროვინცია მორონაში კატეგორიულადაა აკრძალული ბავშვებისათვის ისეთი ახირებული და სასაცილო სახელების დარქმევა, რომლებიც ამცირებენ მათ ადამიანურ ღირსებებს. ამ აკრძალვის მეოხებით „გადარჩა" რამდენიმე ახალშობილი, რომელთათვისაც მშობლებს სურდათ დაერქმიათ მეგაფონი, სიმფონია, შენადნობი, ქვაბი და ა. შ.

## წყლის გრძნობა

ერთ მონღოლ გეოლოგს წყლის საოცარი გრძნობა აქვს: თავის მშობლიურ კუთხეში მან ოც წელიწადში 800-ზე მეტი მიწისქვეშა წყარო აღმოაჩინა.

## მარხილიც ტრანსპორტია!

გრენლანდიაში აკრძალულია იომებშებმული და ძაღლებშებმული მარხილის მართვა ალკოჰოლის მიღების შემდეგ. დადგინდა, რომ აქ მომხდარი ორმოცი უბედური შემთხვევის მიზეზი სწორედ სიმთვრალე იყო.

## ობობას ქსელი — შლაპად

კარგა ხანია ცნობილია, რომ შეიძლება ობობას ქსელის გამოყენება საქსოვ საქმეში. გასულ საუკუნეში არაერთხელ უსინჯავთ ობობას ქსელისაგან წინდების, ხელთათმანის, კაბების მოქსოვაც კი. მაგრამ ენთუზიაზმი ისევე სწრაფად ქრებოდა, როგორც აენთებოდა ხოლმე, უმთავრესად — მასალის სიძვირის გამო. მაგრამ ახალი გვინეის პაპუასთა ერთ-ერთი ტომის ხელმარჯვენი ობობას ქსელისაგან წარმატებით ქსოვენ მოხდენილ აჟურულ შლაპებს. ობობას ქსელი აქ იმდენია, ვერ გამოლევ... შლაპა კი... როგორც პატრონები ამტკიცებენ, ისეთი გამძლეა, მთელი სიცოცხლის მანძილზეც ვერ გაცვეთს კაცი.



## საინტერესო სიახლენი

### გაზის ხელოვნური საგადო

პრაღის ახლომდებარე დაბლობი ლიბუში კარგა ხანს გამოიყენებოდა ნაირგვარი ორგანული ნაგვის საყრელად. ბოლოსდაბოლოს მოედანზე, რომლის ფართობიც 17 ჰექტარია, 35 მეტრის სისქე დაწნეხილი ნაგვის ფენა წარმოიქმნა. საცდელმა ჰაბურღილებმა ცხადყვეს, რომ ამ ფენიდან გამოყოფილი გაზი საკმარისია იმისათვის, რათა რვა წლის განმავლობაში ამუშაოს 8000 კვტ სიმძლავრის საქვაბე. იგი სითბოთი დააკმაყოფილებს 4500 ბინას, რის შედეგადაც 260 ვაგონი მურა ნახშირი დაიზოგება.

რვა წლის შემდეგ გაზი ნელნელა გამოილევა და მალე ნიადაგი, რომელიც წინათ ნაგვის ფენა იყო, ნორჩი ტყით დაიფარება — გაზი უკვე ველარ შეუშლის ხელს ხეების ზრდას.

### მეთევზის საზრიანობა

ლა-მანშის სრუტის შუქურის მეთვალყურე ვ. ტრებილ-



კოვი მორიგეობის დროსაც კი თევზის ჭერითაა გატაცებული. მაგრამ შუქურის ფართო საძირკველი წყალში ანკესის სწორად ჩაშვების საშუალებას არ აძლევს. ამიტომ ტრებილკოვი თევზაობისას ჩვეულებრივ საჰაერო ფრანს იყენებს ხოლმე.

### რობოტი — შემდუღებელი

გდრ-ში შექმნეს რობოტი, რომელსაც შეუძლია ადამიანზე გაცილებით უფრო მარჯვედ და ხარისხიანად შეადუღოს 60 მმ-დე სისქის ლითონის ფურცლები. რობოტს იყენებენ ისეთ გარემოსა და პირობებში, რომლებიც მავნეა ადამიანისათვის, მაგალითად — ატომურ რეაქტორში.

### სოკო და... ნახშირი

ამერიკელმა მეცნიერებმა უცნაური ჯიშის სოკო აღმოაჩინეს — იგი ათხევადებს მურა ნახშირს. თუ დაფხვნილ ნახშირს წინასწარ ძლიერი მჟანგავით (აზოტმჟავათი) დავამუშავებთ, გათხევადების პროცესი აჩქარდება. მიღებული მუქი ხსნარი ძალზე რთული შედგენილობისაა და ჯერ მთლიანად არც არის შესწავლილი. ეს მოვლენა ისე საინტერესოა და ამ სითხის გამოყენება — იმდენად პერსპექტიული, რომ გადაწყვიტეს ექსპერიმენტის გაგრძელება ნახევრად სამრეწველო ბიორეაქტორში.

### ტრაქტორიც და მოტოციკლიც

ვენახს ხშირად ფერდობებზე აშენებენ. ვაზის მოვლა შრომატევადი სამუშაოა, მით უმეტეს — ციცაბო ფერდობზე. ამიტომ წარმოიშვა ამ სამუშაოს მექანიზების პრობლემა. იგი წარმატებით გადაჭრეს ფრანგმა სპეციალისტებმა.

ფირმა ,,ბობორდმა" შექმნა ე. წ. ტრაქტორ-მოტოციკლი. ორი წამყვანი თვალი — წინა და უკანა — ერთ ხაზზეა განლაგებული, თითო გვერდითი — მოტოციკლის თვლებია. ძრავა დიზელისაა, 50 ცხენისძალიანი. მანქანას ვენახში შეაქვს სასუქი, ვაზს აჭრის რქებს და კრეფს ყურძენს.



# ჟურნალ ,,პიონერში" 1987 წელს დაბეჭდილი მასალების საძიებელი

## პროზა

ა. ლორია — ეს დაუდეგარი არდადეგები, №№ 1-3.
ლ. ჭიჭინაძე — ხიზანი, № 1.
მ. კერძევაძე — ველოსიპედი, № 12.
გ. პაპუაშვილი — თავრია, № 2.
ჰ. ტალკე — მამაცი ბრიყვი, № 3.
ი. პინიასოვი — ჩვეულებრივი ხელჯაგები, № 4.
ე. მერაბიშვილი — შავი ერკემალი, №№ 4-6.
ვ. ასლამაზიშვილი — ხვალ კარგი ამინდი იქნება, № 4; განმარტოებული ნაპირი, № 11.
ნ. ბეზარაშვილი — ბოჩო, № 5.
კ. პაუსტოვსკი — მოხუცი მზარეული, № 6.
ზ. ტაბაღუა — კურდღლები და რაინდები, №№ 7-10.
ნ. ინჯია — შეხვედრა, № 7.
ლ. მატვეევა — მეგობრის პორტრეტი, № 7.
ნ. ქადაგიძე — ზაფხულის წვიმა, № 8.
მ. გელაშვილი — ერთი პატარა ბელურა, № 9.
ბ. ჟიტკოვი — სამი მოთხრობა, № 9.
ს. გერულავა — უბილეთო მგზავრი, № 10.
კ. კურბატოვი — გენერალი, № 10.
გ. ტოგონიძე — ენამწარე გოგონას ზღაპარი, № 11.
გ. ტალახაძე — ძმაბიჭების ოინები, № 12.
გ. პეტრიაშვილი — ბრაზო და ლიმო, № 12.
ნ. ნადეჟდინა — ბრძენთა ორგანიზაცია, № 12.
ს. არაქელიანი — ბიჭუნა სანჯაი, № 12.

## პოეზია

გ. ძნელაძე — მრავალ ახალ წელს, № 1; ლექსები, № 12.
ა. მებრელიშვილი — ლექსი, № 1; ხნულში თესლი გაღივდა, № 4.
გ. ჭიჭინაძე — თეთრი ბატკანი, № 1.
ლ. სტვილია — ქოთნის მუხა, № 1; ლექსები, № 9.
თ. ჯანგულაშვილი — ჩვენო რესპუბლიკავ, თებერვალო ჩვენო, № 1.
შ. ამირანაშვილი — ძმობის დუღაბით შეკრული, № 1.
მ. ჩხეტიანი — ვინ მოიტაცა ბარტყები? (პოემა), № 2.
ლ. ერაძე — ლექსები, № 3.
ო. გველესიანი — დედის წერილი, № 3.
შ. შანიძე — უძლეველი ძალა, № 4.
ვ. გორგანელი — ეს მოგუგუნე ზარი, № 5.
ა. გურგენიძე — მოდის, ზაფხული მოდის! № 6.
რ. ასაევი — სიზმარი, № 6.
მ. ზაზიკაშვილი — ლექსები, № 6.
ნ. შამანაძე — ლექსები, № 7.
დ. ივარდავა — ლექსები, № 8.
თ. დაუშვილი — ლექსები, № 8.
ი. ჭავჭავაძე — გაზაფხული, № 10.
ე. ბართაია — შემოდგომა, № 10.

## პიონერული ცხოვრება

ვ. ასლამაზიშვილი — კომკავშირო, მოდის საიმედო თაობა, № 1; ქალადიდის გაზაფხული, № 6.
მ. გელაშვილი — ,,კოსმოსი" და კოსმოსელები, № 1; გფარავდეთ თბილი კალთა, № 11; თამამად იმოქმედეთ, პიონერებო! № 12.
ნ. ფავლენიშვილი — ძმას ძმისა ეიმედება, № 3; და ისევ — ცაში! № 7.



**მ. იაკობაშვილი** — კომკავშირელთა მხარდამხარ, № 4.
**ნ. ხარაზიშვილი** — ობიექტივშია „პიონერფილმი“, № 4; ჭირიცა და ლხინიც — ერთი, № 5; გვიხმობენ პიონერული საყვირები, № 8; ჩვენი დევიზია მეგობრობა, № 12.
**ნ. აფხაზავა** — ერთი ჩვეულებრივი პიონერი, № 6; საქმიანი მეგობრობის კეთილი შედეგი, № 7.
**თ. ცაგარელი** — ზაფხული — დასვენება, შრომა, № 8; ორნი საქართველოს დელეგაციიდან, № 10.

## წერილები, მოგონებები, კონკურსი, დიალოგი, სხვა მასალები

**მ. გელაშვილი** — რა კარგია, რომ ნორა მასწავლებელი არსებობს, № 1; გარჯით მოპოვებული ნდობა, № 3; ნიკა ბიჭის ექვსი დღე, № 6.
**ნ. ხარაზიშვილი** — ჩვენი ძია ზურაბ მხატვარი, № 1; გვიყვარდეს საქართველო, № 9.
**ზ. ქოჩლაძე** — სახეთა გამოცნობა, № 1.
**ვ. სიდამონიძე** — სახალხო გმირი ფარსმან-ფარუხი, № 1; ირაკლი და ზაქარია; გიორგი მირზაშვილი, № 8.
**ნ. ავალიანი** — წარმატება, № 1.
**რ. ინანიშვილი, ნ. ხარაზიშვილი** — ეს სიხარულიც ჩემს მოთხრობებად იქცევა, № 1.
**ა. გეთანელი** — არის თუ არა სიცოცხლე სხვა პლანეტებზე, №№ 2-3; ორბიტული სადგურები, № 5; კოსმოსური სიჩქარეები, № 7; მთავარი კონსტრუქტორი, № 10; სამთვარეო სამეცნიერო ლაბორატორია, № 12.
**გ. ბარჯაძე** — ოქროს ოვალი, № 2; ბეისბოლი, № 6; ლახტი, № 10.
**ლ. გელაშვილი** — თევზები და მონეტები, № 2; უცნაური თევზები, № 10.
**ნ. აფხაზავა** — მეგობრობით ვართ ძლიერნი, № 3; ლ. გოლიკოვი, № 6; ზ. პორტნოვა, № 10.
**ვ. კობერიძე** — ინსტინქტი თუ აზროვნება? № 3.
**თ. ინასარიძე** — საგზაო ანბანი, №№ 3, 6, 12.
**შ. მარკოზაშვილი** — საგურამოში, ილიას ნაფუძარზე, № 4.
**პ. წერეთელი** — რა არის კომპიუტერი? № 4; 1+1=10? № 6.
**ლ. ბოლქვაძე** — მობრძანდით, გელით! № 4.
**თ. ჯალალანია** — ჟ. გრეზი, № 1; თომას გეინსბორო, № 4; ო. რენუარი, № 9; ფრანსისკო გოია, № 10; ლ. გუდიაშვილი, № 12.
**ზ. ჭუმბურიძე** — დიდი მეცნიერი და მამულიშვილი, № 5.
ჩვენთან სტუმრადაა ბელორუსული საბავშვო ჟურნალი „ბიაროზკა“, № 5.
**ვ. გორგანელი** — ჩვენი სკოლის დირექტორი, № 5.
**გიორგი წერეთელი-60**, № 5.
**ნ. ფავლენიშვილი** — რომ სიხარული მოჰგვაროს, № 5.
**ვ. კანდელაკი** — შაში საინტერესო თამაშია, №№ 5, 9.
**ა. ჩხარტიშვილი** — კაცხის ტაძარი, № 5; ანანურის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, № 12.
**თ. სანებლიძე** — დილის ჰიგიენური ვარჯიში, № 5, 7, 9.
**დ. წულაძე** — პასუხისმგებლობა ქვეყნისათვის, სოციალიზმის ბედისათვის, № 5.
**ნ. სალირაშვილი** — ილია, როგორც მეგობარი, № 6.
ნორჩ შემოქმედთა კონკურსი — №№ 6-11.
ჩვენთან სტუმრადაა უკრაინული საბავშვო ჟურნალი „პიონერი“, № 7.
**არნ. გეგეჭკორი** — ხე სიცოცხლისა, № 7; ხე და არქიტექტურა, № 12.
**ნ. ხოფერია** — ბიჭი ფლეიტით, № 7.
**ს. ხუციშვილი** — ი. ჭავჭავაძე-პუბლიცისტი, № 8.
**ი. გლიაძე, რ. გოჭორიშვილი** — რა არის ალგორითმი? № 8; თამაში და ალგორითმი, № 12.
**დ. გოზალიშვილი** — სტუმრად სომეხ მეგობრებთან, № 8; ილიას სადიდებლად, № 10.
ჩვენთან სტუმრადაა სომხური საბავშვო ჟურნალი „პიონერი“, № 9.
**ვ. ცერცვაძე** — ეს სჭირდება ჩვენს გარდაქმნას, ჩვენს წინსვლას, № 9.
**მ. გაჩეჩილაძე** — იუბილე, რომელიც არ ჩატარებულა, № 9.
შევკრიბოთ ხალხური საუნჯე, № 9.
**გრ. აბაშიძე** — ილია ჭავჭავაძე, № 10.
**გ. გაბუნია** — დაუვიწყარი დღეები, № 10.
**მ. გორბაჩოვი** — „არტეკის“ პიონერთა IX საკავშირო შეკრებას, № 11.
პიონერთა IX საკავშირო შეკრების გადაწყვეტილება, № 11.
ჩვენთან სტუმრადაა ესტონური საბავშვო ჟურნალი „პიონერი“.
**გ. კურტანიძე** — ოქტომბრის მზით მოფენილი სიკეთე, № 11.
**ა. ელერდაშვილი, თ. ყარსიმაშვილი** — ჩოგბურთი, № 11.
**გივი ძნელაძე-60**, № 12.

## განყოფილებები

ახალი წიგნები — 1-4.
შენი უცხოელი თანატოლები — №№ 1, 4, 7, 9, 10.
მოდელირების მოყვარულთათვის — №№ 1, 2, 3, 8, 11.
კოცონი — №№ 1-6, 10-12.
გამოგადგება — №№ 1, 2, 4-11.
ცხრაკლიტული — №№ 1-12.
ჯადოსნური სარკე — №№ 2-6, 8-12.
საინტერესო სიახლენი — №№ 2, 3, 5, 7-12.
წითელი წიგნი — № 2.
მხედრიონი — №№ 2, 10.
იუმორი — №№ 3, 4, 7, 8, 10-12.
სახალისო ფიზიკა — № 3, 4.

# მხატვრის ღიმილი

მხატვარი გივი პეტრიაშვილი



„დალაქმა ხელობა ჩვენს თავზე ისწავლაო“.



„ფეხი — თბილად, თავი — გრილად“.




„ალალ კაცის საქონელი, ქვაზე დადვა. არ დადნებაო“.



„კალმის წვერს ხანჯლის ძალა აქვსო“.



„ეს ქვეყანა კიბეა, ზოგი ადის, ზოგი ჩამოდის“.




„ახლანდელი ყმაწვილები კვერცხიდან გამოსწივიან“.



უსიტყვოდ

# საძიებელი


ნ. ხარაზიშვილი — ჩვენი დევიზია მეგობრობა (ნარკვევი) გარეკ. 2

გ. ტალახაძე — ძმაბიჭების ოინები (მოთხრობა) . . 2

მ. კარბარეთელი — თამამად იმოქმედეთ, პიონერებო! (წერილი) 9

ი. გლიაძე, რ. გოგორიშვილი — თამაში და ალგორითმი (წერილი) . . . . . . 11

გ. პეტრიაშვილი — ბრაზო და ღიმო (ზღაპარი) . . . 12

გივი ძნელაძე — 60 . . . . . . . 14

კოცონი . . . . . . . 15

აისი . . . . . . . 16

ნ. ნადეჟდინა — ბრძენთა ორგანიზაცია (მოთხრობა) . . 18

ა. გეთანელი — სამთვარეო სამეცნიერო ლაბორატორია (წერილი) . . . . . . . 19

ა. გეგეჭკორი — ხე და არქიტექტურა (წერილი) . . . 21

გამოჩენილი ადამიანების ღიმილი (იუმორი) . . . 23

ა. ჩხარტიშვილი — ანანურის არქიტექტურული ანსამბლი (წერილი) . . . . . . . 24

თურმე . . . . . . . 24

ს. არაქელიანი — ბიჭუნა სანჯაი (მოთხრობა) . . . 26

თ. ინასარიძე — შევისწავლოთ საგზაო ანბანი (წერილი) . 28

ჯადოსნური სარკე . . . . . . 29

საინტერესო სიახლენი . . . . . 30

1987 წელს „პიონერში“ გამოქვეყნებულ მასალათა საძიებელი 30

ცხრაკლიტული . . . გარეკ. . 3

თ. ჯალალანია — ლ. გუდიაშვილი (წერილი) . გარეკ. 4


გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა თამაზ ხუციშვილისა


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ანა ალავერდაშვილი, ნუგზარ აფხაზავა (პ/მგ. მდივანი), ზურაბ გოცაძე, მანანა გელაშვილი, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, იოსებ სამსონაძე, ჰაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლიანა შეწირული, ზურაბ ჭუმბურიძე.



რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-81, პ. მგ. მდივნის—93-97-03, 93-53-05, განყოფილებების—93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 27.10.87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 9.12.87 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი, 4,9. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,4; შეკვ. 2584. ტირაჟი 161.000, ეგზ., უე 11150.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14.


თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.


«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников.
Выходит один раз в месяц на грузинском языке.
Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат 60×90 1/8, учетно-изд. л. 4,4; усл. печ. л. 4,9.
Тираж 161.000 экз. Цена 20 коп.


© „პიონერი“, 1987 წ.



## კროსვორდი

თარაზულად: 5. განთიადი; 6. საქართველოს მდინარე; 9. რუსი საოპერო მომღერალი ქალი, სსრკ სახალხო არტისტი; 12. ბავშვების სათამაშო — ჰაერში ასაშვები მოწყობილობა; 13. რადიოაქტიური ქიმიური ელემენტი; 14. სიმებიანი საკრავი; 17. იტალიელი კომპოზიტორი; 18. ბედაური; 19. საფეიქრო დაზგაზე სიგრძივ გაბმული საქსოვი ძაფები; 20. პურეული მცენარე; 25. საფრანგეთის ქალაქი; 26. ბამბის წმინდა ბადურა ქსოვილი; 27. ქალის სამკაული; 30. დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც მიმდინარეობს მეცადინეობა სკოლაში; 31. „ბალეტ „დონ-კიხოტის" მუსიკის ავტორი; 32. რაიმე მოქმედებისათვის ხალისის აღმძვრელი მიზეზი.



შვეულად: 1. სპილენძის სასიგნალო საყვირი; 2. წითელკურკიანი ნაყოფის მქონე სუბტროპიკული მცენარე; 3. კანადის ქალაქი; 4. ლიტერატურული ნაწარმოების შესავალი ნაწილი; 7. აფრიკის სახელმწიფო; 8. სოფელი ლანჩხუთის რაიონში; 10. დანიელი მწერალი, მეზღაპრე; 11. ქართველი მწერალი; 15. მწვანით მოსილი მინდორი; 16. ტყის ფრინველი; 21. ორაზროვნება; 22. ყვითელი ფერის მაგარი, გამჭვირვალე ფისოვანი ნივთიერება; 23. თეთრი ფქვილისაგან გამომცხვარი პურის პატარა რგოლი; 24. მცენარის გამრავლების ორგანო; 28. სავარაუდო შესაძლებლობა; 29. ყველა გემის ერთობლიობა.

შეადგინა უ. მაჩაიძემ.

## შარადები

ჯერ ის მითხარი, რა ჰქვია,
ბადეში ბურთის შეგდებას?
პატარა მრგვალი რიცხვი მას
დასკვნით ნაწილად ერგება.—
ვინც პასუხს უმალ იპოვის,
დაიმსახურებს შექებას.

●

მეზობელ რიცხვებს აიღებ,
მათგან საწყისი კენტია,
ცალ-ცალკე—ხუთზე ნაკლები,
მაგრამ ორზე კი მეტია.
ორთავეს ასო კიდური
ჩამოაცალე, უწაწვილო,
მერე კი დასკვნით ნაწილად
სხვა ხმოვანია აჰეირო,
ედემის სინონიმი რომ
პასუხად წარმოაჩინო.

ზ. ამირანაშვილი

## გამოცანები

●

მოკლე მილის სიღრმეში
ზეიმია ფერთა,
ტრიალებს და იცვლება
შიგ სურათი მკვეთრად.

გ. შეთეკაური

●

წითელი ნაკადულებით
მუშაობს ჩვენი წისქვილი,
თუ ის წისქვილი გაჩერდა,
გარდუვალია სიკვდილი.

●

ყრუ-მუნჯი მეგობარია,
გასაოცარი თვისების:
სიყრმიდან ღრმა სიბერემდე
მისი სიკეთით ვივსებით.

გ. მარცვალაშვილი

●

მღალავენ და არ ვიწვები,
ყუროს ცემის ამტანი ვარ,
ერთ ადგილზე ვმუშაობ და
სხვაგან არსად არ დავდივარ.

●

კლდეში რომ ჟონავს წვეთები,
არის ქათქათა წყალი.
ზედ ეყინება წვეთი წვეთს
და ჩნდება სვეტი მრგვალი.
ქვემოდან საპირდაპიროდ
იზრდება მასა ლალი.
შეერთდებიან ერთ სვეტად
და ზედ ეყრდნობა თალი.

ალ. ნამორაძე

## 5:5

## თავსატეხი-ამოცანა

კალათი მაქვს.
იმ კალათში
მილაგია ხუთი ვაშლი.
კბილებაკაწკაწებული
მელოდება ხუთი ბავშვი.
წამიც აღარ მიფიქრია,
თითოს თითო ვაშლი მივეც.
მაგრამ, აი, საოცრება:
ერთი დარჩა კალათშივე!
იქნებ ახსნათ რომელიმემ:
როგორ მოხდა ყოველივე?

ნ. მარიხია



### პასუხი № 11-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე"

### კროსვორდი

თარაზულად: 1. სკოტი; 3. ირიბი; 6. ისტორია; 9. იავა; 11. ბუკი; 12. ელისო; 13. მორზე; 17. კავი; 18. ირაო; 20. ტოლსტოი; 22. იფანი; 23. ანოდი.

შვეულად: 1. სეული; 2. იორი; 3. იარა; 4. ირემი; 5. ლობიო; 7. სპა; 8. ინა; 10. ანალიზი; 11. ბალზაკი; 14. კოქსი; 15. ეჩო; 16. ურო; 17. კერკი; 19. ოდერი; 20. ტალი; 21. იოტა.

### გამოცანები

ღრუბელი, პეპელა,
სარკე, ხელის თითები,
წელიწადი, ყნოსვა,
სათვალე.

### შარადები

ქონი — დარი = ქონდარი;
პირი — მზე = პირიმზე.

6184/5



**ლადო გუდიაშვილი**

# ჩვენი საგამოფენო დარბაზი

## „სერაფიტას გასეირნება“.

გამოჩენილი ხელოვანის — ლადო გუდიაშვილის ფერწერა განსაკუთრებული და თავისებურია. მისი მხატვრული სამყარო დაუცხრომელი ფანტაზიის ქროლვითაა სავსე. რასაც უნდა ხატავდეს იგი — რეალურ ადამიანს თუ ზღაპრულ არსებას, ცოცხალ სინამდვილეს თუ ისტორიულ ამბავს, პორტრეტსა თუ ალეგორიას — ყველაფერი განსაკუთრებულ, ფანტასტიკურ, გუდიაშვილისეულ იერს იძენს, მისი რომანტიკული პერსონაჟები ყოველთვის მშვენიერნი და იდუმალნი არიან.

ასეთია ლადო გუდიაშვილის უზარმაზარი ტილო „სერაფიტას გასეირნება“. მისი სიუჟეტი მხატვარს შთააგონა არმაზის უდიდესმა არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა ოცდაათიანი წლების ბოლოს. საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია აკლდამამ, სადაც ესვენა მშვენიერი სერაფიტა, ზევახ პიტიახშის ახალგაზრდა ასული, რომელიც თურმე ყველას ჩრდილავდა თავისი სიკეთითა და სილამაზით. ამ რომანტიკული აღმოჩენის ამბავი მთელ ქვეყანას მოედო და სერაფიტას სახელი არა მარტო უაღრესად პოპულარული, სიმბოლურიც კი გახდა.

ამ სიუჟეტის არჩევა შემთხვევითი არ იყო. ლადო გუდიაშვილს ხომ სულის სიღრმემდე აღელვებდა თავისი ქვეყნის წარსული, მისი ისტორია, მითები, ზღაპრები და გადმოცემები, და სერაფიტა მისთვის უეჭველად უნდა გამხდარიყო ქართული ისტორიის განსახიერება. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ მხატვარი შემდგომში ხშირად უბრუნდებოდა ამ თემას — მაგალითად, სურათში „არმაზის სარკოფაგებიდან“.

„სერაფიტას გასეირნება“ ერთბაშად ხიბლავს მნახველს თავისი პოეტურ-ზღაპრული სულით, რომელიც ესოდენ დამახასიათებელია ლადო გუდიაშვილის შემოქმედებისათვის. მშვენიერი სასახლე, პერსონაჟთა უცნაური, ეგზოტიკური სამოსი და სამკაულები მხატვრის ფანტაზიის ნაყოფია და არა ისტორიული რეალობა, მაგრამ ამ თეატრალიზებულ სანახაობაში ნათლად ჩანს ქართულობა, ეროვნულობა, უფრო სწორად — ქართული და აღმოსავლური იერის საოცარი შერწყმა.

სურათი დახვეწილი სილამაზისა და ოდნავ მანერული თეატრალურობის შთაბეჭდილებას ქმნის, ამის მიზეზია არა მარტო აქსესუარები, არამედ თავად პერსონაჟთა იდეალური გარეგნობაც — აქ მეორდება გუდიაშვილის მიერ შექმნილი ტიპაჟი დიდრონი თვალებით, ოვალური სახით, მაღალი ყელითა და გრძელი თითებით. ამავე შთაბეჭდილებას ქმნის მათი რთული პოზებიც, მათი ტალღოვანი, ცეკვისებური მოძრაობებიც. ამ მოძრაობათა დენადი რიტმი ჭეშმარიტად მომაჯადოებელ ეფექტს ჰქმნის. მას კიდევ უფრო აძლიერებს სურათის ფერადოვანი გამა — ლურჯისა და ყავისფერის მუქ ფონზე ძვირფასი ქვებივით ელავს ოქროსფერი, წითელი, თეთრი ლაქები.

ლადო გუდიაშვილის ხელოვნებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული ფერწერის სფეროში. ეს განაპირობა მისმა მკვეთრმა ინდივიდუალურობამ და ორიგინალურობამ, ემოციურობამ, სიღრმემ და დახვეწილობამ.

თეო ჯალაღანია,
ხელოვნებათმცოდნე